# ალია

## ლარი მყარდება. რას ამბობენ გაზგასამართი სადგურები ფასების დაკლებაზე?

N182/3112/ 11 დეკემბერი 2014 წ
PRESS
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## ვის დაექვემდებარება შსს-დან გამოყოფილი სპეცსამსახურები და ვის ხელში გადავა მოსმენის „გასაღები“?



## რატომ გაახსენდა „ოცნებას“ მხოლოდ შსს და არ ახსოვს სხვა დაპირებები?



## რომელი გუბერნატორები და გამგებლები დაემშვიდობებიან პოსტებს?



## რატომ

უქმდება დაუბეგრავი მინიმუმი?

ასაიდუმლოებენ 120 მილიონის დანიშნულებას?



## რა წერია ეუთოს ანგარიშში კუბლაშვილის სასამართლოზე და რა გავლენას მოახდენს ეს საქართველოს იმიჯზე



## რატომ არაფერი თქვა სესიაშვილმა ჯარის იმ პრობლემაზე, რაზეც ივანიშვილმა ისაუბრა?



## ვის გამო ჭიანურდება თბილისში საცობების პრობლემის მოგვარება?



## რა არ ათქმევინეს ეკა კვესიტაძეზე დეპუტატ ლორთქიფანიძეს პარლამენტში?



## რატომ ეშინიათ უნივერსიტეტების რექტორებს საკანონმდებლო ცვლილების

და რა განუცხადა „ალიას“ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ?



## რას წარმოადგენს დაზღვევის ზედამხედველობის საბჭო და რატომ შეჰყავთ საბჭოში ორი მინისტრი?



## ზედელაშვილმა შს მინისტრის მოადგილის პოსტი დატოვა

10 დეკემბერს, გვიან ღამით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გიორგი ზედელაშვილი საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გადადგა. ამ გადადგომას წინ უძღოდა საუბრები იმაზე, რომ ზედელაშვილი საბოლოო ჯამში მაინც დედის გვარის (ჯანყარაშვილი) გამო მოჰყვა ამ გაუგებრობაში. დიდი მსჯელობა იყო იმის შესახებაც, თითქოს კომპანია „სერპანტინმა“, რომლის 51% წილის მფლობელი თამარ ზედელაშვილია, რამდენიმე ტენდერი ნეპოტიზმის საფუძველზე მოიგო. მოკლედ, ასეა თუ ისე, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის წასვლა თანამდებობიდან გადაადგილება უფროა (შეიძლება დაწინაურებაც), ვიდრე მთავრობიდან გაშვება. გიორგი ზედელაშვილმა „ალიას“ თავადვე დაუდასტურა, რომ მან განცხადება საკუთარი სურვილით დაწერა და სამუშაოდ კრიზისების მართვის საბჭოში გადადის, ის შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებას უხელმძღვანელებს.

*დიანა ლიპარტელიანი*

## ძაღლის მეპატრონეებს 50-დან 150 ლარამდე დააჯარიმებენ



საკანონმდებლო ცვლილებით, იმ ადამიანებს, რომელთა შინაურმა ცხოველმაც ტერიტორიები ფეკალური მასებით დააბინძურა და მეპატრონემ ტერიტორია არ გაასუფთავა, მეპატრონე 50 ლარით დაჯარიმდება. 150 ლარით დაჯარიმდება ის ადამიანი, რომლის ცხოველმაც, ტერიტორია 1 კუბური მეტრი ფეკალური მასით დააბინძურა.

გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის, მაია ბითაძის თქმით:

„ამას ის ადამიანები გააკონტროლებენ, რომლებიც აქამდე მუშაობდნენ ჩვენს სამინისტროში. საუბარია იმაზე, რომ შეიძლება შინაურმა ცხოველმა ერთ კუბურ მეტრზე მეტი ფეკალური მასა დატოვოს, რაც გარემოს ზიანს აყენებს. როდესაც ადამიანი ასეირნებს ძაღლს, თუ მას მიეცა საშუალება, რომ აიღოს ამ ძაღლის ფეკალური მასა, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. მაგრამ არის შემთხვევა, რომ ეს არ არის ცხოველი და ერთი კუბური მეტრი ნაკელის დატოვება ძაღლს არ შეუძლია. ეს სასაცილო, მაგრამ საინტერესო თემაა, რადგან ნაკელი უადგილო ადგილას გარემოს ზიანს აყენებს“, – განაცხადა ბითაძემ. (ნიუპოსტი)

## მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები კვლავ ეცემა




მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი კლებას განაგრძობს. „Brent“-ის მარკის ნავთობის ფასმა 2009 წლის დროინდელ მინიმუმს მიაღწია, ბარელზე 2,60%-ით დაიწია და 65 დოლარი შეადგინა. რაც შეეხება „WTI“-ის მარკის ნავთობს, მისი ფასი 2,90%-ით ბარელზე 62 დოლარამდე დაეცა. (ინტერპრესნიუსი)

## საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა



თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, №39-ში საცხოვრებელი სახლის მეხუთე სართულზე ხანძარი გაჩნდა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. სამაშველო სამსახურის განცხადებით, სახლში ხანძრის დროს მხოლოდ ძაღლი იმყოფებოდა, რომლის გამოყვანაც შეძლეს.

სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, ხანძრის შედეგად, 30-მდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართია დამწვარი. ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერ უცნობია.

ადგილზე სამაშველო სამსახურის 8 სახანძრო ბრიგადა მუშაობდა. (ინტერპრესნიუსი)

## „აირზენა“ საპროტესტო გაფიცვას იწყებს და ფრენებს წყვეტს



კომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ („აირზენა“) ფრენებს წყვეტს და საპროტესტო გაფიცვას იწყებს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, საპროტესტო აქციები იმ დრომდე გაგრძელდება, სანამ საქართველოს მთავრობა ავიაკომპანიის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს. გაფიცვაში მონაწილეობას კომპანიის მფრინავები, ტექნიკოსები და სხვა თანამშრომლები მიიღებენ.

მათი მოთხოვნები კი შემდეგია: 1) გაუქმდეს რუსეთის ფედერაციაში გაგზავნილი 8 ივლისის ნოტა, რომლითაც რუსეთის ავიაკომპანიებს მიენიჭათ შეუზღუდავი უფლება თბილისი-მოსკოვი-თბილისი მიმართულებით ფრენებზე. 2) დაუყოვნებლივ გაუქმდეს საქართველოს საავიაციო ხელისუფლების მიერ რუსულ ავიაკომპანიებზე გაცემული ფრენის ნებართვები; 3) რუსეთის ფედერაციასთან საჰაერო მიმოსვლა აღდგეს იმ პირობით, რაც იყო ფრენების შეწყვეტამდე, ანუ 2006 წლის ნოემბრამდე. 4) რუსეთთან მოლაპარაკებები შეწყდეს იმ დრომდე, სანამ სააგენტო არ გამოიყოფა ცალკე სტრუქტურად და არ დაკომპლექტდება იმ კვალიფიციური მუშაკებით, ვისაც კვალიფიციურად შეეძლება მოლაპარაკებების გამართვა და ქვეყნის ინტერესების დაცვა. 5) დაუყოვნებლივ მიღებული იქნას გადაწყვეტილება ავიაციის სააგენტოს ეკონომიკის სამინისტროსგან გამოყოფის შესახებ და ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ უწყებად, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. 6) დაუყოვნებლივ გადადგეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფროსი გურამ ჯალაღონია, დაინიშნოს კვალიფიციური კადრი და სააგენტო დაკომპლექტდეს პროფესიონალი მუშაკებით. 7) სააგენტოს ახალმა ხელმძღვანელობამ შეცვალოს ის ნორმატიული აქტები, რაც მიღებული იქნა წინა ხელისუფლების მიერ და ქართული ავიაკომპანიის ინტერესებს ეწინააღმდეგება. 8) სასწრაფოდ აღუდგეს „ჯორჯიან ეარვეისს“ ფლაგმანის სტატუსი, რომელიც წინა ხელისუფლებამ უსაფუძვლოდ გააუქმა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „სი-თი პარკს“ „სასათბურე პირობები“ უნდა მოუხსნან



საკრებულოს დეპუტატის ალექსანდრე ელისაშვილის განცხადებით, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ „სი-თი პარკის“ პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვიტოს და წლის დასასრულამდე უნდა გავიგოთ, რა ხდება „სი-თი პარკთან“ დაკავშირებით.

„თბილისის მერიაში 22 აგვისტოს შეკრება იყო და მაშინ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ კომპანია „სი-თი პარკს“ პრობლემების აღმოსაფხვრელად ვადა ნოემბრის ბოლომდე მისცა. ახლა უკვე დეკემბრის შუა რიცხვებია. ძალიან დიდი დრო გავიდა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობას „სი-თი პარკთან“ დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება მიეღო. გადაწყვეტილება კი არ ჩანს. აქ ორი ვარიანტია: ან მერია და „სი-თი პარკი“ კულუარებში რაღაცაზე გარიგდნენ, ან თბილისის მერიას ღონე არ ჰყოფნის, ამ მძარცველ კომპანიას მოერიოს. ჩემთვის და თბილისის მაცხოვრებლებისთვის ორივე ვარიანტი მიუღებელია. მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ხმას შეგნებულად არ ვიღებდი, რომ რაიმე პროცესისთვის ხელი არ შემეშალა, თუმცა მეტისმეტად დიდი დრო გავიდა და ახლა ხმამაღლა ვამბობ, რომ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ „სი-თი პარკის“ პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვიტოს და წლის დასასრულამდე უნდა გავიგოთ, რა ხდება „სი-თი პარკთან“ დაკავშირებით. მე მზად ვარ, რომ დავით ნარმანიას საკუთარი მოსაზრებები შევთავაზო. არაფრის მაქნისი კომპანია ქალაქში თარეშობს, პარკინგის პრობლემის მოგვარებას არ ემსახურება და „მხოლოდ მძღოლებს ძარცვავს“.

ამ კომპანიასთან, ქალაქში პარკინგთან და მოძრაობასთან დაკავშირებით მეტის მოთმენა შეუძლებელია. ეს არის ჩემი მოთხოვნა და მოწოდება, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, 100 ათასობით მძღოლი უმაგრებს ზურგს. „სი-თი პარკი“ ქალაქიდან არის გასაშვები, თუ მას ნარმანია ვერ ერევა, გულახდილად თქვას და ქალაქი მხარში დაუდგება, ხოლო თუ გარიგებაა, ამას გავიგებთ“. – აცხადებს ელისაშვილი.

მისივე განმარტებით, „სი-თი პარკის“ დედაქალაქიდან უცბად გაშვება ძნელია, რადგან სახელმწიფოს ჯარიმები დაეკისრება, თუმცა ამ კომპანიას „სასათბურე პირობები“ უნდა მოუხსნან და მერია მასთან მიმართებაში საქმიანი ურთიერთობების ეტაპზე უნდა გადავიდეს. ელისაშვილის განმარტებით, დედაქალაქში საცობების გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს და მათ შორის არის პარკინგიც, რომლის მოსაწესრიგებლად კომპანია არაფერს აკეთებს. (kvira.ge)

## სამგორის გამგებელი ადასტურებს...



სამგორის გამგებელი მამუკა ჩოქური ადასტურებს ინფორმაციას, რომ „თბილისობასთან“ დაკავშირებით ინდმეწარმეს მეუღლის საშუალებით დაუკავშირდა, თუმცა უარყოფს, რომ ხელშეკრულება მასთან მეუღლის მეგობრობის ნიშნით გააფორმა.

როგორც ჩოქური ირწმუნება, ის ამ ინდმეწარმეს მეუღლის დახმარებით იმ მიზნით დაუკავშირდა, რათა ღონისძიება ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში ჩატარებულიყო. მისივე თქმით, ასევე არასწორია ინფორმაცია, თითქოს აღნიშნულ ღონისძიებაზე 24 ათასი ლარი არამიზნობრივად დაიხარჯა.

გამგებლის განმარტებით, მან გამგეობაში საკრებულოს სარევიზიო კომისიის შესვლა მოითხოვა, რათა საზოგადოების ინტერესის შესაბამისად, გადამოწმდეს ყველა ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა.

ცნობისთვის, „თბილისობის“ ხარჯებთან დაკავშირებით თბილისის მერიამ მთავარ პროკურატურას დოკუმენტები გაუგზავნა. გამოძიება მითვისება-გაფლანგვისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლებით მიმდინარეობს. (ფრონტნიუსი)

## ქეცბაია, სავარაუდოდ, აზერბაიჯანის პრემიერლიგის „გაბალას“ გაწვრთნის



საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი თემურ ქეცბაია, სავარაუდოდ, აზერბაიჯანის პრემიერლიგის კლუბ „გაბალას“ გაწვრთნის.

ახლახან აზერბაიჯანის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბის მწვრთნელის თანამდებობიდან რუმინელი დორინელ მუნტიანუ დაითხოვეს. აზერბაიჯანული მედია იუწყება, რომ ის დროებით სანიან გურბანოვმა ჩაანაცვლა, პარალელურად კი მიმდინარეობს მოლაპარაკება ერთ-ერთ სპეციალისტთან, რომელიც ვაკანტურ თანამდებობას ახლო მომავალში ჩაიბარებს.

„ეს „ერთ-ერთი სპეციალისტი“, სანდო წყაროს ცნობით, სწორედ საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელია“. (ფრონტნიუსი)

## მეოთხეკლასელი ბავშვის ცემის ფაქტზე დისციპლინური კომისია იმსჯელებს



განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე სამტრედიაში მეოთხეკლასელი ბავშვის ცემის ფაქტს გამოეხმაურა. მინისტრის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტი სასკოლო პერიოდში არ მომხდარა, საქმეში დისციპლინური კომისია მაინც ჩაერევა.

„მეოთხეკლასელმა ბავშვებმა, სამწუხაროდ, ძაღლის ლეკვის გამო იჩხუბეს საკუთარ უბანში, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეს არ მომხდარა სკოლის ტერიტორიაზე და საგაკვეთილო საათის დროს, ვფიქრობ, მაინც ჩავერევით დისციპლინური კომისიის სახით და ვეცდებით, რაღაცნაირად ეს ძალადობა დავგმოთ. აქ ჩვენი პასუხისმგებლობა არ იკვეთება, თუმცა მაინც ჩავერევით, რათა მომავალში მსგავსი ქმედებები მინიმუმამდე იყოს დასული. ინციდენტში მონაწილე ბავშვების ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. ერთ-ერთი ბავშვი, იმის გამო, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, მაინც შემოწმდა და საბედნიეროდ, დადგინდა, რომ არავითარი საფრთხე არ არსებობს“, – განაცხადა სანიკიძემ. (ნიუპოსტი)

# ვის დაექვემდებარება შსს-დან გამოყოფილი სპეცსამსახურები და ვის ხელში გადავა მოსმენის „გასაღები“?

ირაკლი ღარიბაშვილმა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანს, დავით სუჯაშვილს სამუშაო ჯგუფის შექმნა დაავალა, რომლის შემადგენლობაში მთავრობის, პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოელი და ქართველი ექსპერტები შევლენ და შინაგან საქმეთა სამინისტროდან უშიშროების სამსახურის გამოყოფის საკითხზე იმუშავებენ. მომზადდება ანალიზი და მაქსიმალურად მოხდება ყველა რისკის გათვლა. ამ რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ის გახლავთ, რომ შსს-ს უსაფრთხოების სამსახურები გამოეყოფა და ცალკე სამსახურად ჩამოყალიბდება.

როდესაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, ზვიად გამსახურდიამ ცალკე სტრუქტურად შეინარჩუნა არსებული უშიშროების სამინისტრო. ედუარდ შევარდნაძემ კი, ეს სამინისტრო საინფორმაციო-ანალიტიკურ ბიუროდ გადააკეთა, შემდეგ ისევ სამინისტრო დაარქვა, თუმცა, ხელისუფლებიდან ისე გაუშვეს, მისი შს სამინისტროსთვის დაქვემდებარება არც უფიქრია. „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვიდა თუ არა, უშიშროების სამინისტრო გააუქმა, მისი ყველა სტრუქტურა შს სამინისტროს შეუერთა და ამას რეფორმა დაარქვა. მიხეილ სააკაშვილის მთავარი არგუმენტი მაშინ ის იყო, რომ მან საბჭოური მონსტრის, „კგბ“-ს პირმშო სამინისტრო გააუქმა და იძახდა, რომ ამით დემოკრატიისკენ გადადგა ნაბიჯი, შევარდნაძის უშიშროება ხელისუფლების ხელში პოლიტიკური იარაღი იყო, პოლიტიკურ ოპონენტებს უსწორდებოდა და ახლა, შსს-ს დაქვემდებარებული უშიშროების სამსახურები ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს დაიცავენ და დეპოლიტიზებულნი იქნებიანო.



სააკაშვილმა შსს-ში შექმნა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი (კუდ-ი), მას დაუქვემდებარა უშიშროების სამსახურები და რაც ამ სამსახურმა დააწია ხალხს, ყველამ ვიცით. კუდ-ი იყო სააკაშვილის მთავარი პოლიტიკური იარაღი და პოლიტიკური ოპონენტების დევნის საშუალება. მან შექმნა მონსტრი უშიშროების სამსახური, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის გარდა, ყველაფერს აკეთებდა. მართალია, დღეს ამ კუდ-ს სუს-ი ჰქვია, მაგრამ სახელის შეცვლით სისტემა არ შეიცვლება. ღარიბაშვილის ინიციატივა დროულია და იმედია, შსს-დან სპეცსამსახურების გამოყოფა, საბოლოოდ მოახდენს მათ დეპოლიტიზებას და იმ საქმეს გააკეთებენ, რაც მხოლოდ კონსტიტუციით დაევალებათ.

**„ალია“ ამ მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა:**

**— ბატონო ირაკლი, თქვენი ინფორმაციით, კონკრეტულად რომელი სამსახურები უნდა გამოეყოს შს სამინისტროს?**

– ჩვენ უნდა გავმიჯნოთ, რა არის წმინდა პოლიციური საქმიანობა და რა არის უშიშროების სამსახურები. ნაადრევია დეტალებში შესვლა. როგორც კი ხელისუფლება საკუთარ პოზიციას დააფიქსირებს, ეს ხელს შეუშლის კონსოლიდირებული გადაწყვეტილების მიღებას. თუმცა, ახლი ველოსიპედის გამოგონება არ დაგვჭირდება, არსებობს საერთაშორისო გამოცდილება, არსებობენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც საჭირო რჩევებს მოგვცემენ. ვფიქრობ, უნდა შევარჩიოთ ნატო-ს რომელიმე წევრი ქვეყნის მოდელი და ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, ამ მოდელს უნდა მივუსადაგოთ ეს ახალი სამსახური. თუ ნატო-ს ქვეყნების პრაქტიკას გავითვალისწინებთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შსს-ს გამოეყოფა კონტრდაზვერვა, ანტიტერორისტული ცენტრი, სპეციალური ოპერატიული სამსახური და არის კიდევ უშიშროების პროფილის სხვა სამსახურები. თუმცა, არ უნდა მოხდეს ამ სამსახურების ხელოვნურად გამოყოფა სამინისტროდან, უნდა გავითვალისწინოთ ყველა საგარეო რისკი და გამოწვევა და იმის მიხედვით უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი. რაც მთავარია, როცა ეს სამსახურები ჩამოსცილდებიან სამინისტროს და ცალკე სტრუქტურაში გაერთიანდებიან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უფლებების დაცვას. ეს სამსახური მკაცრად უნდა გაკონტროლდეს, რომ საფრთხედ არ ექცეს საზოგადოებას.

**— სახელმწიფო დაზვერვა პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში და ცალკე სტრუქტურად არის. ეს ასე დარჩება თუ დაზვერვაც ამ ახალ სამსახურს შეუერთდება?**

– მაგაზე არც არის ლაპარაკი, სახელმწიფო დაზვერვა ისევ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში იქნება.

**— რა იყო ის მთავარი არგუმენტები, რომლებმაც ხელისუფლება დააყენა ამ გადაწყვეტილების მიღების წინაშე? საგარეო საფრთხეებმა იმატა, იმის საფრთხე გაჩნდა, რომ შსს ისევ იმ მონსტრად არ გვექცეს, როგორიც წინა ხელისუფლების დროს იყო, თუ სხვა მიზეზებმა დაჩქარა ეს პროცესი?**

– აქ არის რამდენიმე ფაქტორი. ნებისმიერი რეფორმა უნდა ემსახურებოდეს ამ სისტემების გაძლიერებას. ეს რეფორმა კი სწორედ ამ მიზანს ემსახურება, გაძლიერდეს შსს და გაძლიერდნენ სპეცსამსახურები. ასევე, ეს იყო საზოგადოებრივი დაკვეთა, ხალხის ობიექტური პრეტენზია იყო, შსს ისევ რომ ითავსებს სპეცსამსახურებს. ჩვენ წინასაარჩევნოდ დავპირდით ხალხს, რომ მოხდებოდა შსს-დან ამ სამსახურების გამოყოფა და მათი დეპოლიტიზება და ამას ვაკეთებთ კიდეც. დღეს, შს მინისტრი არის პოლიტიკური ფიგურა, უშიშროების სამსახურებს თუ გამოვიყვანთ და მათ ბაზაზე დამოუკიდებელ სამსახურს შევქმნით, მისი ხელმძღვანელი უკვე არ იქნებ პოლიტიკური ფიგურა.

**— თუმცა, ეს ვერ იქნება გარანტია, რომ ახალი და დამოუკიდებელი უშიშროების სამსახური პოლიტიზებული არ იქნება. კონტროლის მკაცრი მექანიზმების გარეშე, შეუძლებელი იქნებ ამის მიღწევა.**

– კი, კონტროლის მექანიზმები უნდა გაძლიერდეს, გარედან სამოქალაქო სექტორმა უნდა გააკონტროლოს, ეს ბუნებრივია, პარლამენტს აქვს კონსტიტუციით კონტროლის მექანიზმები. სხვა მაკონტროლებელ ინსტრუმენტებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**— პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის როლი ხომ არ გაიზრდება? სწორედ მისი პრეროგატივა იქნება ამ ახალი სამსახურის კონტროლი.**

– ვერ გეტყვით, ჯერ უნდა ჩამოვყალიბდეთ მოდელზე, მერე კონტროლის მექანიზმზე. არ გამოვრიცხავ, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის როლი გაიზარდოს კონტროლის გაძლიერების გამო.

**— ექსპერტთა ნაწილი იმასაც აცხადებს, რომ, თუ სპეცსამსახურები გამოეყოფიან შსს-ს, პარლამენტის ამ კომიტეტში მათი კონტროლის მიზნით, სპეციალური ქვეკომიტეტი უნდა შეიქმნას და მაგალითად, სწორედ ნატო-ს ქვეყნები მოჰყავთ.**

– არც ეგ არის გამორიცხული, მაგრამ ჯერ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი. უცხოელი ექსპერტების ჩართვა სწორედ იმიტომ გვინდა, რომ ამგვარი მნიშვნელოვანი საკითხები ერთად შევისწავლოთ და მერე მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვეტილება.

**— ეს სპეცსამსახურები „ნაცმოძრაობის“ იმ კადრებით არის გატენილი, რომლებიც თავის დროზე პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდნენ, ხალხს საქმეებს უკერავდნენ და ჯაშუშობის ბრალდებით ასამართლებდნენ, ბევრ საშინელებას სჩადიოდნენ. ამ სამსახურების ამ ხალხისგან გაწმენდის დროც ხომ არ მოვიდა ამ რეფორმის პარალელურად?**

– ვინც დანაშაული ჩაიდინა, მან უნდა აგოს სასამართლოს წინაშე პასუხი. ამ მიმართულებით შსს-ს გენინსპექციამ აქტიურად უნდა იმუშაოს და ასეთი ხალხის გამოვლენას, დასჯას არ სჭირდებოდეს ლოდინი, როდის ჩამოყალიბდება ახალი სამსახური. მეორეც, თუ ვინმე წინა ხელისუფლებაში მუშაობდა, პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდა, მაგრამ სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია, ასეთი ხალხის მიმართ ფრთხილად უნდა ვიყოთ. ბევრს აიძულებდნენ იმის გაკეთებას, რაც არ სურდა. ვინც რეჟიმის მსხვერპლი იყო, პროფესიონალია და დღეს შეუძლია ემსახუროს ქვეყანას, მათ შანსი უნდა მივცეთ. თუ ვინმე ხალხს აწამებდა, საშინელებებს სჩადიოდა, ასეთმა ადამიანებმა კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი. ეს

**— ვის უნდა დაექვემდებაროს უშიშროების ახალი სამსახური, პრემიერ-მინისტრს თუ სხვას?**

– დღევანდელი კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი კი არის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, მაგრამ ქვეყნის საგარეო და საშინაო საფრთხეებზე პასუხისმგებელი პრემიერ-მინისტრია და ის არის მთავრობის მეთაური. პრეზიდენტს აქვს უფლებამისილება, უშიშროების საბჭოს ფორმატში განიხილოს საფრთხეები. რაც შეეხება ინფორმაციის მიწოდებას, უშუალოდ პრეზიდენტსაც, უშიშროების საბჭოსაც დროულად მიეწოდებათ ნებისმიერი ის ინფორმაცია, რაც უნდა მიეწოდებოდეთ. ვერც პრეზიდენტსა და ვერც უშიშროების საბჭოს უშიშროების სამსახური ვერ დაექვემდებარება, რადგან კონსტიტუცია ამის ნებას არ აძლევს მათ. ამ საკითხზე გვქონდა მსჯელობა, მაგრამ შევიკავებ თავს. ვნახოთ, ვინ რას შემოგვთავაზებს, ჩვენ საუკეთესოს ავირჩევთ. – დღეს ფარული მიყურადების ერთი გასაღები შს სამინისტროს აქვს და ამის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი თქვენ ბრძანდებოდით. ვის დარჩება ეს გასაღები, თუ შსს ორად გაიყოფა, შსს-ს თუ უშიშროების ახალ სამსახურს?

– არ ვიცი წინასწარ, ვის დარჩება გასაღები.

– ვატყობ, ჩვენ მალე ახალი არჩევანის წინაშე დავდგებით, შსს-ს დარჩეს გასაღები თუ უშიშროების ახალ სამსახურს და კიდევ ერთი დავიდარაბის გადატანა მოგვიწევს.

– ვერ გეტყვით, იგივე მოდელი დარჩება თუ ახალ ვარიანტს შევიმუშავებთ. თუ ის გაინტერესებთ, უნდა ჰქონდეს თუ არა გასაღები შსს-ს ოპერატიული სამძებრო ღონისძიების ეფექტურად გასატარებლად, ვიტყვი, რომ კონტროლის მექანიზმის თანხლებით, უნდა ჰქონდეს, თუმცა, ახალი რეალობიდან გამომდინარე, მიჭირს ამ თემაზე კონკრეტული საუბარი. ერთი შემიძლია ვთქვა, რომ ეს პრობლემა თუ დადგება, გადაწყვეტილებას ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მივიღებთ.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ეროვნულმა ბანკმა ლარის ახალი გაცვლითი კურსი დაადგინა



ეროვნულმა ბანკმა დოლართან მიმართებაში ლარის ახალი გაცვლითი კურსი დაადგინა. სებ-ის ინფორმაციით, 11 დეკემბერს 1 დოლარი 1.8918 ლარი ეღირება, რაც 10 დეკემბრის მაჩვენებელზე 0.0347 ლარით ნაკლებია.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ლარი ევროსთან მიმართებაშიც მყარდება, 10 დეკემბერს 1 ევრო 2.3804 ლარი ღირდა, ხოლო 11 დეკემბრისთვის მაჩვენებელმა 0.0385-ით დაიკლო და ხვალ ევროს ფასი 2.3419 ლარი იქნება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გიორგი კვირიკაშვილის სამივლინებო ხარჯები



„ნაციონალური მოძრაობა“ გიორგი კვირიკაშვილის სამივლინებო ხარჯებს აქვეყნებს. პარტიაში აცხადებენ, რომ ეკონომიკის მინისტრის ნიუ-იორკში ვიზიტი, რომელიც შტატებში პრემიერს გაჰყვა, 22 292 ლარი დაჯდა. დავოსსა და ასტანაში ეკონომიკურ ფორუმებზე დასასწრებად კი 9 533 ლარი დაიხარჯა. ჯამში, 2014 წელს სულ დაიხარჯა 109 764 ლარი.

ოპოზიცია ვიცე-პრემიერს აკრიტიკებს და ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს ახსენებს. მინისტრი „ნაციონალური მოძრაობისა“ და ირმა ნადირაშვილის განცხადებას პასუხობს, რომ ეკონომიკის მინისტრის მიერ შეძენილ 4 ბილეთში ბიუჯეტიდან 40 ათასი ლარი დაიხარჯა და „ზღვარგადასულობას“ უწოდებს:

„ნაციონალური მოძრაობის“ ზღვარგადასულობა უკვე ყველანაირ საზღვრებს აჭარბებს. არასდროს მისარგებლია პირველი კლასით. ძალიან ხშირად ღამის რეისით წამოსული იმავე საღამოს ჩამოვსულვარ ევროპიდან, რომ სამუშაო დღე არ გამეცდინა. ჟურნალისტები იქნებ დაინტერესდეთ, ირმა ნადირაშვილის საყვარელი მთავრობის წევრები რა ფასად დაფრინავდნენ. ყველა მონაცემი სამინისტროში, ბუღალტერიაში ინახება“, – განაცხადა კვირიკაშვილმა. (ნიუპოსტი)

GOEuro-ს წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მატარებლით მგზავრობის სიიაფის რეიტინგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოს მხოლოდ სამხრეთ აფრიკა უსწრებს.

GOEuro არის სამოგზაურო სივრცეში მულტიფუნქციური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ის ადარებს და თვლის მატარებლით, ავტობუსითა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულებას.

აღნიშნული კვლევა GOEuro-მ 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.






რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რა წერია ეუთოს ანგარიშში კუბლაშვილის სასამართლოზე და რა გავლენას მოახდენს ეს საქართველოს იმიჯზე

ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა კოტე კუბლაშვილის სასამართლოსთან დაკავშირებით. პრინციპში, ეს მხოლოდ ანგარიში კი არა, ე.წ. ბომბია და ნორმალურ ქვეყანაში კუბლაშვილს თანამდებობაზე არც გააჩერებდნენ, მაგრამ ჩვენში პირიქით ხდება. მაგალითად, როცა იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ის გააკრიტიკა, აქეთ გადავიდა შეტევაზე. წულუკიანის თქმით:

„სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელს მოუწევს აღიაროს, რომ შიგნით აქვს პრობლემები. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სასამართლოს ხელმძღვანელობისგან მოსამართლის დამოუკიდებლობაა. ასევე, უნდა აღიაროს, რომ ანგარიშის მიხედვით მოსამართლეებს სჭირდებათ უნარ-ჩვევებისა და პროფესიონალიზმის ამაღლება სისხლის სამართლის საქმეებში. დიდი იმედი მაქვს, სასამართლოს სისტემის შიგნით ეს პრობლემები უკვე მომავალი ხელმძღვანელის პირობებში აღმოიფხვრება. აღსანიშნავია, რომ ანგარიშში პროკურატურას მხოლოდ 4 რეკომენდაცია აქვს, კუბლაშვილს კი 40-მდე. თავად განსაჯეთ, ვისთან უფრო მეტი პრობლემაა“.

კოტე კუბლაშვილი ჩიხში შევიდა და ნაცვლად იმისა, რომ არგუმენტები მოიყვანოს, ერთ შენიშვნაზე ამახვილებს ყურადღებას:

„როდესაც დასკვნაში მოხსენიებულია, რომ პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებდნენ განცხადებებს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით, პირველ რიგში, სწორედ თეა წულუკიანი იგულისხმება, ამაში დარწმუნებული ვარ“.

როდესაც ეუთოს სადამკვირვებლო ჯგუფმა აღნიშნული ანგარიში გამოაქვეყნა და ამას საქართველოს მთავრობა მიესალმა, „ნაციონალებმა“ ეს „დანაშაულის“ აღიარებად ჩათვალეს, მაგრამ ის კი აღარ შეიმჩნიეს, რომ აქ კუბლაშვილის სასამართლო უფრო მეტადაა მოთხრილი, ვიდრე საერთო ჯამში მთავრობა. რაც შეეხება მისალმებას, ესეც იმაზე მიანიშნებს, რომ იგივე მთავრობაში კუბლაშვილი ძალიან არ ეპიტნავებათ. მეტიც, განცხადებაში ნათქვამია, სადამკვირვებლო ჯგუფი ჩვენ მოვიწვიეთ და იმედებიც გაგვიმართლდაო:

„აღნიშნული ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს – მომხდარიყო სასამართლო პროცესებზე გამოვლენილი დარღვევების იდენტიფიცირება და რეფორმების გზით მათი აღმოფხვრა. ანგარიში ადასტურებს, რომ საქართველოში არ მიმდინარეობს პოლიტიკური ნიშნით სამართლებრივი დევნა“.

დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია სულ 14 საქმეზე, რომსირეს მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც საზოგადოების პროცესებზე ხელმისაწვდომობა იზღუდებოდა, როგორც აცხადებდნენ, ეროვნული უსაფრთხოების მოტივით. ასეთ საქმეებზე მოსამართლე ზღუდავდა საჯარო განხილვის უფლებას იმის შემოწმების გარეშე, თუ რამდენად არსებობდა სხდომის დახურულად ჩატარების აუცილებლობა ეროვნული ინტერესების უსაფრთხოების მიზეზით“.

„რაც შეეხება სასამართლო დარბაზში წესრიგის დამყარებას, მონიტორების დაკვირვებით, მოსამართლეები ხშირად სათანადოდ არ განმარტავდნენ წესებს და არ იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ სანქციებს“.

„სასამართლოების დამოკიდებულება საზოგადოების ან მედიის მიერ სასამართლო სხდომების ჩანაწერების გაკეთების მიმართ ცვალებადი და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი იყო“.

„სასამართლო პრაქტიკა უმეტესად შეესაბამებოდა ეროვნულ კანონმდებლობას, მაგრამ სრულად ვერ პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. დასაბუთების გარეშე მოსამართლეებმა უარი თქვეს დაცვის შუამდგომლობებზე, რომლებიც პატიმრობის შეფარდების ან გაგრძელების პროცესში იქნა ბის გადადება ხანგრძლივი პერიოდით ხდებოდა“.

„ზოგადად, შეიმჩნეოდა სასამართლო საქმეების არაეფექტური მენეჯმენტი, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პროკურატურისთვის განრიგის დაგეგმვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია სასამართლოთა მიერ“.

„მონიტორინგმა გამოავლინა მოწმეთა გამოძახებასთან და დაკითხვასთან დაკავშირებული პრობლემები თითქმის ყველა სასამართლო პროცესზე. სასამართლოები კრძალავდნენ არასასამართლო გზით მოპოვებული ჩვენებების წაკითხვას“.

„მონიტორინგმა დააფიქსირა, რომ მრავალ განაჩენში ხდებოდა წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასების უგულვებელყოფა და ასევე სამართლებრივი ანალიზის წარმოდგენა არ ხორციელდებოდა საკმარისად იმის ასახსნელად, თუ რის საფუძველზე მოხდა კონკრეტული სასჯელის შეფარდება“.

საინტერესოა, კიდევ რა უნდა დაწეროს ეუთოს სადამკვირვებლო ჯგუფმა – კოტე, სახლში წადიო? თუკი შენ ვერ უზრუნველყოფ სასამართლო პროცესს ელემენტარულ დონეზე და მუდმივად ირღვევა საერთაშორისო სტანდარტები, მაშინ რა გამოდის, ეს სასამართლოა თუ საქულას დუქანი? მონიტორინგმა

ლებიც ეხება ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებს – ვანო მერაბიშვილს, გიგი უგულავას, ბაჩო ახალაიასა და სხვებს, მაგრამ არა იმ კუთხით, რა კუთხითაც „ნაციონალებს“ უნდათ წარმოჩენა. აქ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ პოლიტიკოსები ხშირად არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, ანუ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე აკეთებენ განცხადებებს, ეს საზოგადოებაში იწვევს გარკვეულ სპეკულაციებს და აკნინებს სასამართლო სისტემასო. ისე, რაც კუბლაშვილმა სასამართლო სისტემას გაუკეთა, ამის შემდეგ კიდევ რომელ დაკნინებაზეა ლაპარაკი? მოდით, ვნახოთ, რა წერია დასკვნის შემდეგ თავებში:

„შეინიშნებოდა მრავალი პრობლემა სასამართლო პროცესებზე დასწრების ხელმისაწვდომობის კუთხით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სასამართლო სხდომების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების პრობლემა“.

„მონიტორებმა, აგრეთვე, დააფიქწარდგენილი, ამან კი შექმნა თვითნებობისა და მიკერძოებულობის შთაბეჭდილება“.

„რამდენიმე ხარვეზი გამოვლინდა მხარეთა თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებით. ბრალდებულებისთვის მათი უფლებების შესახებ სათანადო ინფორმაციის არმიწოდება სასამართლო პროცესის მსვლელობისას, მათ აყენებდა არათანაბარ პოზიციაში ბრალდების მხარესთან შედარებით, რის შედეგადაც მოსალოდნელი იყო მხარეთა თანასწორობის პრინციპის რეალური დარღვევა. სასამართლო არ აძლევდა ბრალდებულს ან დაცვის ადვოკატს საკმარის დროს საქმის მოსამზადებლად, მათ შორის ბრალდების მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის მოსამზადებლად, ირღვეოდა პროცესში ბრალდების მხარესთან თანაბარ საწყისებზე მათი მონაწილეობის უფლება“.

„მონიტორინგმა ასევე გამოავლინა ხარვეზები გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებით, როცა საქმეედააფიქსირა, რომ მრავალ განაჩენში ხდებოდა წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასების უგულვებელყოფა და ასევე სამართლებრივი ანალიზის წარმოდგენა არ ხორციელდებოდა საკმარისადო, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმ ცნობილ პროცესთან, სადაც ჩვენ 65 ათასი ლარის გადახდა დაგვაკისრეს ოთარ კობერიძის სასარგებლოდ. დიახ, სწორედ მაშინ არ გაითვალისწინა მტკიცებულება, ანუ რესპონდენტი ელიზბარ ჯაველიძე არ ჩათვალა მოწმედ და არც მისი ნათქვამი გაანალიზებულა, როგორც მტკიცებულება. არაეფექტური მენეჯმენტი, საეჭვო ვადები, მოსამართლეების, ასევე, საეჭვო გადაადგილებები და მათთვის განსაკუთრებული საქმეების მიცემა, წესების დარღვევა და მიფუჩეჩება... აი, პრობლემების მთელი ის წყება, რომლის გამოც უნდა წავიდეს კოტე კუბლაშვილი თავის ამფსონებთან ერთად. აქ აღარაფერს ვამბობ იმაზე, რამდენი დანაშაულია ჩადენილი სასამართლო სისტემის შიგნით.

**დაბოლოს, აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვები: მაგალითად, რა გავლენას მოახდენს ეუთოს სადამკვირვებლო ჯგუფის დასკვნა ჩვენს ქვეყანაზე?**

**როგორც უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ირიბი გავლენა აუცილებლად იქნება და თანაც საკმაოდ სერიოზული:**

– ეუთოს დასკვნა ანგარიშგასაწევია, ამას წაიკითხავენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები თუ ტურისტები და თავს შეიკავებენ ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობაზე. სადაც სამართალი და ნორმალური სასამართლო არ არსებობს, იმ ქვეყანას ყველა ერიდება. მაგალითად, რატომ ჩამოვა აქ უცხოელი ბიზნესმენი, თუკი ის იქნება დაუცველი?

**— ამ შემთხვევაში რა ბერკეტები აქვს ხელისუფლებას, რომ სიტუაცია შემოატრიალოს?**

– პირდაპირი ბერკეტი არ არსებობს და მე მგონი, ამჯერად არც არის საჭირო, სადღაც 2 თვეში კოტე კუბლაშვილი ისედაც მიდის და მას ბევრი მოსამართლე მიჰყვება უკან. ასევე, ძალიან ბევრი დაიწყებს ლაპარაკს იმ დანაშაულების შესახებ, რაც სასამართლოში წლების განმავლობაში ხდებოდა. ასე რომ, დაველოდოთ, ძალიან ცოტა დრო დარჩა.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დონ ჭორვილსკიმ მიიღო გადაწყვეტილება და გაუსწორდა კახურ დაჯგუფებებს“



მთავრობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს „ლეიბორისტები“ შიდა კლანურ დაპირისპირებად აფასებენ.

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი გუგავას განცხადებით, „ორ კლანს შორის ნადავლის გაყოფაზე მოხდა შეჯახება, როგორც ეს ხდება მაფიოზურ სინდიკატებში. ღარიბაშვილის გუნდს, დიდი მადა აღმოაჩნდა და ივანიშვილმა მათ ფრთები შეუკვეცა. დონ ჭორვილსკიმ მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო და გაუსწორდა კახურ დაჯგუფებებს“. – აცხადებს გუგავა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად კახა ცხადაძე ინიშნება



გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად კახა ცხადაძის დანიშვნა გადაწყდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე ცხადაძეს ბაქოში შეხვდნენ. მხარეებმა სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს და კონტრაქტის გაფორმებამდე ფორმალობების მოგვარებაა დარჩენილი.

ცხადაძე უკვე შეხვდა ბაქოს „ინტერის“ ხელმძღვანელებს და მათ კლუბთან არსებული ხელშეკრულების გაწყვეტის პირობებზე ესაუბრა.

იურიდიულ პროცედურებს სულ რამდენიმე დღე დასჭირდება, რის შემდეგაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 46 წლის ქართველ სპეციალისტს კონტრაქტს გაუფორმებს. (ნიუპოსტი)



# რატომ ეშინიათ უნივერსიტეტების რექტორებს საკანონმდებლო ცვლილების

## და რა განუცხადა „ალიას“ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ?

8 უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლის რექტორი ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს აპროტესტებს, რომლის საფუძველზეც, მათი თქმით, უნივერსიტეტების ავტონომია იზღუდება. საუბარია ინიციატივაზე, რომლის თანახმადაც, სასწავლებლების შემოსავლები და გადასახადები სახელმწიფო ხაზინაში უნდა შევიდეს. რექტორებმა პარლამენტის თავმჯდომარეს ერთობლივი საპროტესტო წერილით მიმართეს:

„საქართველოს პარლამენტი განიხილავს საბიუჯეტო კოდექსის ცვლილებების პროექტს, რომლის მიხედვითაც იგეგმება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების, მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა. დაგეგმილი ცვლილებები წინააღმდეგობაში მოდის უნივერსიტეტების ავტონომიის პრინციპთან. ჩვენი ერთსულოვანი პოზიციაა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები არ გავრცელდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე“.

წერილს ხელს აწერენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სამედიცინო უნივერსიტეტის, კონსერვატორიის, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორები.

10 ნოემბერს პარლამენტში აღნიშნული კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობდა, რომელსაც საპარლამენტო უმცირესობა აპროტესტებდა.

**რა პრობლემებს შექმნის უნივერსიტეტების თანხების ხაზინაში ჩარიცხვა? რას აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობა? რა უთხრა „ალიას“ კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა?**

**„ალიას“ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრი სერგო რატიანი ესაუბრა:**

– პირველ რიგში, უნივერსიტეტებს არავინ ჰკითხა აზრი აღნიშნული ცვლილებების შესახებ, არც აკადემიური და არც წარმომადგენლობითი საბჭოების მოსაზრება არავის დააინტერესა. შესაბამისად, ისე გადაწყვიტო ამ უმაღლესი სასწავლებლების ბედი, რომ მათ არც ჰკითხო, თავისთავად ესაა მათი ავტონომიის შეზღუდვა. გამონაკლისი გაკეთდა სკოლებზე, მარეგულირებელ ორგანოებსა და ეროვნულ ბანკზე. ძალიან სუსტია დასაბუთება იმისა, რომ, თუ ზემოჩამოთვლილი უწყებები შეიძლება, განთავისუფლდეს მსგავსი ჩარევისგან, მაშინ უნივერსიტეტებმა რა დააშავეს? გარდა ამისა, ამით იზღუდება უმაღლესი სასწავლებლების დამოუკიდებლობა, როცა მათი ანგარიშები გადადის ხაზინაში.

**— კი, ხაზინაში ნამდვილად გადადის და მათ ხომ არ შეეზღუდებათ ამ თანხების განკარგვა, რა პრობლემაა?**

– რასაკვირველია, თანხის განკარგვის შესაძლებლობა ექნებათ, მაგრამ ესაა გაორმაგებული ბიუროკრატია, რომელიც შეაფერხებს ამ თანხების ხარჯვას, უფრო გაართულებს. აქ კიდევ ერთი მომენტია: მეცნიერებს მოსდიოდათ გრანტი, ჩვენი უცხოელი პარტნიორები მეცნიერებს პირდაპირ აფინანსებდნენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს კანონპროექტი ერთგვარად შეაფერხებს გრანტების ნაკადს გარკვეულწილად, რთული იქნება სასწავლებლის დამოუკიდებლობის დამტკიცება იმ პირობებში, როცა შენ ხაზინაში გაქვს გადატანილი ფულადი სახსრები. ძალიან სამწუხაროა, რომ უმრავლესობა ყურად არ იღებს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების რექტორების შეშფოთებას.

**— და თქვენ გარდა, ვინ წავიდა წინააღმდეგი?**

– ამ კანონპროექტს „თავისუფალი დემოკრატები“ არ უჭერენ მხარს და არც „რესპუბლიკელები“, ყოველ შემთხვევაში, პირველი მოსმენით ასე იყო. ანუ უმრავლესობაშიც ესმით, რომ მარტო ფინანსისტების გადასაწყვეტი ეს საკითხი არ არის. ესაა უფრო იმიჯისა და რეპუტაციის საქმე, თორემ შეიძლება, პირადად ჩემი, ან თქვენი ანგარიში გადაიტანონ ხაზინაში და მერე დაგვიწყონ ახსნა, რა ადვილად მოგვაწვდიან იმ ფულს, რაც გვეკუთვნის. ეს იმ ფონზე, როცა სახელმწიფო, როგორც ასეთი, უნივერსიტეტებს ფულს პირდაპირ, ანუ საბაზო თანხას არ აძლევს, არის მხოლოდ გრანტები. ეს გრანტები კი ეძლევათ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებს, ანუ უნივერსიტეტების მფლობელობაში არსებული თანხები არის ძირითადად სტუდენტების შემოსავალი, რომელიც მათ ეკუთვნით, ამიტომ სრულიად აბსურდულია ეს ახალი კანონი. თუ გამჭვირვალობაზე მიდგა საქმე, მაგის პრობლემა არ არის, ბანკის საშუალებით, ყურადღების მუდმივ რეჟიმში მიადევნონ თვალი, რადგანაც ყველა უნივერსიტეტი წარმოადგენს ანგარიშს.

**— აბა, რაში დასჭირდათ ამ კანონის შემოღება?**

– რამდენადაც ვხვდები, მიდის ცენტრალიზებისკენ საქმე, ანუ სახელმწიფო თავის ხელში აქცევს თანხებს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ორი წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიკას შეექმნა პრობლემები და ახლა პრობლემები უნდა შეექმნას იმ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც თავისთავად წარმატებულები არიან.

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრ ნუკრი ქანთარიას:**

– ნამდვილად ვერ გავიგე, რა ავტონომია აკლდებათ ამით უმაღლეს სასწავლებლებს? რაში გამოიხატება შეზღუდვა? მე ვიცი ლადო პაპავას განცხადება, სადაც ის ამბობს საყურადღებო რამეს, რომ ფინანსთა სამინისტროში ყველა უმაღლესი სასწავლებლის რექტორი და კანცლერი ერთად შეხვდა სამინისტროს წარმომადგენლებს, რომ ამ შეხვედრაზე იყო არგუმენტირებული მოსაზრებები, ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ისინი უნივერსიტეტების წარმომადგენლების წინადადებებს გაითვალისწინებდნენ და ამ უნივერსიტეტების ხარჯების ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადატანით ავტონომიას არავის შეუზღუდავდნენ. ისიც წავიკითხე, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთი წარმომადგენლები მიესალმნენ კიდეც პროექტს და ახლა რა ხდება, ვერ გავიგე. თუ რამე ისეთია ამ პროექტში, გავასწორებთ და ავტონომიას არავის შევუზღუდავთ.

**— სერგო რატიანი ამბობს, რომ ამით ცენტრალიზაცია უნდა მოხდეს თანხებისო.**

– ხოო, თუ რატიანს ესაუბრეთ, მაშინ საკმარისი ყოფილა, ეს ისეთი მეტრი გახლავთ განათლებაში, რომ მორჩენილი ამბავია. არავითარი მსგავსი არ ხდება, უბრალოდ, ეს კეთდება მეტი კონტროლისთვის და რა დაიხარჯება, რომ ყველამ იცოდეს, თორემ ხაზინის შემდეგ კომერციულ ბანკებში გადადის თანხები ისე, რომ პროცენტი არ ეკარგებათ. აი, პროცენტი რომ იკარგებოდეს, მაშინ კი, ბატონო, შეიძლებოდა ლაპარაკი იმაზე, რომ ავტონომია ილახება, მე სტუდენტებისგან შემოსული თანხის პროცენტს ვგულისხმობ. მსგავსი არაფერია.

**— თქვენ თუ დაუჭერთ მხარს ამ კანონპროექტს?**

– მარტო მე კი არა, ყველა ვუჭერთ მხარს, იმიტომ, რომ ვერ ვხედავთ ვერანაირ საშიშროებას და თუ რამე ხარვეზი პრაქტიკაში გამოიკვეთება, მერე ვნახავთ. ვთვლი, რომ ეს ფინანსური სამინისტროს მიერ შემოტანილი ტექნიკური საკითხია და ვიმეორებ, რაც შემოტანილია, იმაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავთ.

**— მართალია, რომ „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ არ უჭერენ პროექტს მხარს?**

– რა ვიცი, რასაც ვუსმენ, არავის გამოუთქვამს პრეტენზია და ვინ გითხრათ?

**ვუკავშირდებით კანონპროექტის ერთ-ერთ ავტორს, ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, გიორგი კაკაურიძეს:**

**— დეპუტატი რატიანი ამბობს, რომ თქვენი კანონპროექტით უნივერსიტეტებს ავტონომია ეზღუდებათ და ცენტრალიზაციისკენ მიგყავთ საქმე.**

– ამ კანონპროექტის მიზანია დროული და სწორი აღრიცხვა მოხდეს თანხების სახაზინო სამსახურის ერთიანი სისტემის დახმარებით და გამჭვირვალობა იყოს უზრუნველყოფილი, მეტი არაფერი. რატიანი რასაც ამბობს, აბსოლუტურად გაუგებარი არგუმენტია ცენტრალიზაციასთან დაკავშირებით, რა შუაშია აღრიცხვა და თანხების ცენტრალიზება? ყველას ის შემოსავალი ექნება, რაც აქამდე იყო და რა არის სანერვიულო?

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ენკავედეს“ დაშლას მოვესწრებით, როგორც ჩანს“



დეპუტატი თინა ხიდაშელი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს სოციალურ ქსელში ეხმაურება.

„...წელს ნამდვილად უკეთესი წელია, ვიდრე მანამდე. მარტო პატიმრების სრულფასოვანი მკურნალობის პროგრამა რად ღირს, ვიდრე მანამდე რუტინად ქცეული წამება. ან თავისუფალი მედია, მაგრამ დღეს მაინც ის ავადსახსენებელი მოსმენების კანონი მახსენდება, განწყობას ამძიმებს, მაგრამ „ენკავედეს“ დაშლას მოვესწრებით, როგორც ჩანს და მომავალ წელს სამოქალაქო კონტროლის ქვეშ მყოფი საშინაო საქმეთა სამინისტროთი შევხვედროდეთ, სხვა თუ არაფერი, ეს უკვე ნამდვილად საბჭოეთის დასრულება იქნება საქართველოში, რომელიც ასეთი წარმატებით დაგვიბრუნა სააკაშვილმა.

ადამიანია მთავარი, ადამიანი. წარმატებული, განათლებული, დასაქმებული, რეალიზებული ადამიანი, და კიდევ ძალადობისგან, ნეპოტიზმისგან, კორუფციისა და ძალაუფლებით ტრფობისგან დაცლილი გარემო. ეს ორი ერთად საკმარისია რომ ძლიერი, დემოკრატიული ქვეყანა იყო, სადაც ადამიანის უფლებებია პირველადია და მას ილუზორულ სახელმწიფო ინტერესებს არ შესწირავენ. ასეთი საქართველოდან შევეხმიანოთ მომავალ 10 დეკემბერს“. – წერს თინა ხიდაშელი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## შსს-ში საკადრო ცვლილებები განხორციელდა



შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებები განხორციელდა.

კერძოდ, იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ზაზა ჩუბინიძე ბესარიონ მირიანაშვილმა ჩაანაცვლა, ხოლო ჩუბინიძე თბილისის შს მთავარ სამმართველოში ერთ-ერთი განყოფილების უფროსად დაინიშნა.

კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსად კი გიორგი ბუბუნაური დაინიშნა.

შეგახსენებთ, ასევე შეიცვალა გენინსპექციის უფროსი. აღნიშნულ თანამდებობაზე ირაკლი სამყურაშვილი იოსებ გოგაშვილმა შეცვალა. (ნიუპოსტი)

## „ღარიბაშვილი ორი წელია, არღვევს ბიუჯეტს და აუფასურებს ლარს“



ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გამართულ ბრიფინგს, ეხმაურება საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ ჯაფარიძე.

„თურმე ამერიკისა და უკრაინის ეკონომიკა არ იზრდება, პრემიერს შევახსენებ, რომ ამერიკის ეკონომიკის ზომა არის 18 ტრილიონი დოლარი და ცოტათი რომც გაიზარდოს, მაინც 18 ტრილიონი დოლარია, ამიტომ ამერიკის მაგალითად მოყვანა ნონსენსია, ასევე, უაზრობაა და სასაცილოა უკრაინასთან შედარება, რადგან უკრაინაში არის ომი. ირაკლი ღარიბაშვილი ორი წელია, ზედიზედ არღვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს და ორი წელია, აუფასურებს ლარს, რაც ძალიან დიდ ტვირთად ადევს ქართველ ხალხს“. – აცხადებს ჯაფარიძე (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# რომელი გუბერნატორები და გამგებლები დაემშვიდობებიან პოსტებს?



**რა პროცესები მიდის საქართველოს მთავრობის კულუარებში? ვინ დაემშვიდობება კიდევ თანამდებობას და რატომ გადაწყვიტეს შინაგან საქმეთა სამინისტროდან უშიშროების სამსახურის ჩამოშორება? არის თუ არა ეს ყველაფერი ერთმანეთზე აკინძული და საბოლოოდ როგორ დალაგდება სიტუაცია?**

„ალიას“ „სახალხო კრების“ წევრი, **ლაშა ამირეჯიბი** ესაუბრა:

**— ნუ დავმალავთ, იმ ადამიანებმა, რომლებიც გადააყენეს, ირაკლი ღარიბაშვილის ავტორიტეტი, ასე თუ ისე, შეარყიეს. საზოგადოებაში არსებობს ასეთი ვერსიაც: თითქოს ირაკლიმ ნათესავები მოიშორა ბიძინა ივანიშვილის ხელით, თვითონ ზედმეტ თავის ტკივილს მოერიდა.**

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს ანებს, რომლებიც შემჩნეულები იყვნენ „ნაციონალებთან“ მეგობრობაში, ურთიერთობასა და თანამშრომლობაში. მაგალითად, ასეთი გახლავთ ვანო ბეგაშვილი, ქვემო ქართლის სუს-ის უფროსი. ჩემი ინფორმაციით, ვინც ზედმიწევნით კარგად ასრულებდა ვანო მერაბიშვილის გზას, ასეთები აუცილებლად დატოვებენ თანამდებობებს. ასევე, აუცილებლად წავა სამსახურიდან სამცხე-ჯავახეთის სუს-ის უფროსი, დავით ლომიძე. ესენი მერაბიშვილის მინისტრობის პერიოდში იყვნენ მაღალ თანამდებობებზე და დღესაც აგრძელებენ მუშაობას. მე ვიცი, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად დაინიშნება მირიან მჭედლიშვილი და ეს კაცი მიაქცევს ყურადღებას, რაც ხდება რეგიონებში.

**— მირიან მჭედლიშვილის შესახებ 6 დეკემბერს გაჩნდა ინფორმაცია, რომ ნიშნავენ.**

**ლი ღარიბაშვილმა?**

– მე ვიცი, რომ ხშირად ირაკლი ღარიბაშვილს რეალურ ინფორმაციას უმალავდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ დაუმალეს ივანიშვილს. აქ ერთი საკითხია საყურადღებო: ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, ზვიად ჯანყარაშვილი იმიტომ მოვიყვანე, რომ ჩემი დასაყრდენი ყოფილიყო და სულ გვერდით მედგაო. ეს გასაგებია, შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ბატონმა ზვიადმა მოიყვანა სხვა ხალხი, რომელსაც ეყრდნობოდა. მე ვერ ვიტყვი, რომ ღარიბაშვილს ამით რაღაც ძალა გამოეცალა, მაგრამ მტკივნეული დარტყმა იყო. „ნაციონალებმაც“ იმარჯვეს და საზოგადოების ნაწილი დაა-

და იქიდან უშიშროების გამოყოფას, ჩემი ინფორმაციით, მთავრობის კულუარებშიც და ბიძინა ივანიშვილთანაც მიდის ლაპარაკი იმაზე, რომ უსაფრთხოების სამსახური საერთოდ ჩამოაცილონ პოლიტიკას. ბატონმა ბიძინამ ძალიან კარგად იცის, რომ სუს-ის უფროსის, მალხაზ ჩიკვილაძის გარეშე არც ერთ რაიონში არ ინიშნებოდა არავინ, დარაჯიდან დაწყებული, გამგებლით დამთავრებული. მას უთხრეს და ჩათვალა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. დღეს ამაზე უკვე ირაკლი ღარიბაშვილი თავად ლაპარაკობს.

გარდა ამისა, უკვე დაიწყო რეგიონებში პოლიციის უფროსების გადაადგილება-გაშვების პროცესი. ძირითადად გაუშვებენ იმ ადამი-

– ეს კაცი პროფესიონალია, ადრე მუშაობდა უშიშროებაში და ახლა, ბოლო რამდენიმე წელია, ბიძინა ივანიშვილის სამსახურშია. ჩემი ინფორმაციით, ეტაპობრივად გაუშვებენ არა მხოლოდ პოლიციის უფროსებს, არამედ გამგებლების ნაწილსაც. მაგალითად, წალკის გამგებელს, ილია საბაძეს, რომელსაც პირდაპირ ჰქონდა ურთიერთობა და პირდაპირ იყო ჩართული ნავთლუღის სპეცოპერაციაში. რაღაც პერიოდში მოწმის სტატუსი ჰქონდა, მერე ესეც მოუხსნეს და გამგებლად დანიშნეს.

**— ლაშა, ბუნებრივია, ამდენი რამე ბიძინა ივანიშვილს ვერ ეცოდინებოდა, მაგრამ, ცხადია, ვიღაცამ იცოდა და ინფორმაცია მიაწოდა. ესე იგი, იცოდა ვიღაცამ და არ იცოდა არაფერი ირაკ-**

ჯერეს, თითქოს ირაკლი ღარიბაშვილი დღეს არის წაქცეული. ჭორები ასევე გაავრცელეს იმ ადამიანებმაც, რომლებიც თანამდებობებს ჩამოაცილეს. ისინი დადიან და ამტკიცებენ, ჩვენ ვიყავით პრემიერის უახლოესი გარემოცვაო.

ბოლო დღეებში წინა პლანზე წამოიწია გუბერნატორების საკითხმაც. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი, აკაკი მაჭუტაძე დადის და ლაპარაკობს, მე ვერავინ მომხსნის, ღარიბაშვილის წრიდან გახლავართო. სინამდვილეში არის აკაკი ჩხენკელის კაცი, რომელიც ასევე გაუშვეს თანამდებობიდან. მის განთავისუფლებაზე ადრეც იყო ლაპარაკი, მაგრამ რატომღაც გადადეს. სავარაუდოდ, მალე გაათავისუფლებენ. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, როცა მაჭუტაძე გუბერნატორად დანიშნეს, მან თავისთან მიიწვია ბიზნესმენები, ფულიანი ტიპები და უთხრა, პარტიას ფული სჭირდება, ეს ირაკლი ღარიბაშვილმა დამავალაო. წარმოგიდგენია? ბიძინამ და ირაკლიმ ვიღაცას დაავალეს, ფული მოგვიტანე პარტიაშიო... ამას ხომ მავანი და მავანი დაიჯერებს?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ავტობუსის ჯარიმებზე ამნისტია გამოცხადდა



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ავტობუსის ჯარიმებთან დაკავშირებით ამნისტიას აცხადებს. მისი განმარტებით, ჯარიმებს არ გადაიხდიან ის პირები, ვინც 2014 წლის 10 დეკემბრამდე დაჯარიმდნენ.

როგორც წულუკიანი ამბობს, აღსრულების ეროვნულ ბიუროში 21 000 საქმე დევს, საიდანაც დაჯარიმებული ადამიანების 50%-ზე მეტი პენსიონერია, სტუდენტი ან უკიდურესად შეჭირვებულია.

„პრაქტიკულად, ჩვენ ეს საქმეები უიმედო საქმეების რიცხვში გვაქვს, რადგან მათ არ აქვთ საშუალება, ეს თანხები გადაიხადო. ვინც დღემდე ავტობუსში დაჯარიმებულა და არ აქვს გადახდილი, საახალწლოდ მთავრობამ გადავწყვიტეთ, გამოვაცხადოთ ამნისტია. ეს, ალბათ, მრავალ მოქალაქეს გაუხარდება. იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა მთავრობამ ერთსულოვნად გაიზიარა და კანონპროექტი პარლამენტში გაიგზავნა“, – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

## უკრაინელი დეპუტატები რუსეთ-უკრაინის ომის ოფიციალურ აღიარებას ითხოვენ




უკრაინის უმაღლესი რადას რამდენიმე დეპუტატი, რომლებიც დეპუტატობამდე მოხალისეთა ბატალიონებს ხელმძღვანელობდნენ, აპირებს უმაღლეს რადას ინიციატივით მიმართონ, რათა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში მიმდინარე მოვლენები ანტიტერორისტული ოპერაციის ნაცვლად გამოცხადდეს, როგორც ომი რუსეთის ფედერაციასთან.

შეგახსენებთ აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტი 2014 წლის აპრილში დაიწყო, როდესაც პრორუსი სეპარატისტების შეიარაღებულმა ჯგუფებმა დონბასის რეგიონის ქალაქებში ადმინისტრაციული შენობები და მილიციის განყოფილებები დაიკავეს. უკრაინის ხელისუფლებამ საპასუხოდ აღნიშნულ რეგიონში ანტიტერორისტული ოპერაცია წამოიწყო, რომელიც მასშტაბურ სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა.

გაეროს განცხადებით, აპრილიდან დღემდე აღმოსავლეთ უკრაინაში 4 317 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 9 921 დაიჭრა. (ნიუპოსტი)

## ფერმერებმა 43376.6 ტონა არასტანდარტული ვაშლი ჩააბარეს

არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშემწყობი პროგრამა წარმატებით დასრულდა. ფერმერებმა სულ 43376.6 ტონა არასტანდარტული ვაშლი ჩააბარეს და შედეგად 4 355 416 ლარის შემოსავალი მიიღეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## საპარლამენტო უმცირესობა 2015 წლის ბიუჯეტს მხარს არ უჭერენ



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აცხადებენ, რომ ბიუჯეტი არ არის ორიენტირებული განვითარებაზე და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე.

სერგო რატიანის განცხადებით, ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული პენსიების ზრდა და მისი მომატება მხოლოდ 10 ლარით არაფერს არ ნიშნავს, რადგან ეს უკვე გაუფასურებული ფულია. 2015 წლის ბიუჯეტში ასევე არ არის გათვალისწინებული მასწავლებლების ხელფასების ზრდა.

საპირისპირო მოსაზრება აქვს საპარლამენტო უმრავლესობას. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომ მთავრობა გაცემულ დაპირებებს ადრეც ასრულებდა და მომავალშიც შეასრულებს. (ნიუპოსტი)

## ომბუდსმენს პროკურატურასთან კითხვები აქვს



სახალხო დამცველს პროკურატურის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვები აქვს. ანგარიშში ნანუაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ საქმეებზე, რომელიც ამ დრომდე გამოუძიებელია.

ანგარიშში საუბარია, თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის თავისუფლების, სავარაუდოდ, უკანონო აღკვეთაზე, ვანო მერაბიშვილის მიმართ სავარაუდო უკანონო ქმედებების, დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის, ე.წ. კაბელებისა და „ტრაქტორების საქმეზე“.

„არასათანადო მოპყრობის ფაქტები და შესაბამისად ის არასათანადო გამოძიება ამ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელზეც სახალხო დამცველი საუბრობდა, ეს არის მნიშვნელოვანი პრობლემები. არ დაძრულა სამართლებრივი მექანიზმის შექმნის საკითხი, რომელიც დაინტერესებულ პირებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას მისცემდა; განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების გამოძიების არაეფექტიანობას, დაუსჯელობასთან ბრძოლის პრობლემასა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობას“, – აღნიშნავს ომბუდსმენი. (ნიუპოსტი)

## ,,რამ დაუგროვა ალასანიას ასეთი ბოღმა, მართლა არ ვიცი“



დევნილთა მინისტრს სოზარ სუბარს უკვირს, რატომ არ იღლება ირაკლი ალასანია ერთი და იგივე განცხადებების გაკეთებით.

„ერთსა და იმავეს ლაპარაკობს ყოველდღე და რატომ არ იღლება, არ მესმის. რამდენიმე თვის განმავლობაში, როდესაც ერთად ვიბრძოდით თბილისის მერობისთვის და თვითმმართველობის არჩევნებზე, მისი მხრიდან ამის მეასედი ლანძღვა არ მსმენია მაშინდელი ხელისუფლების, სააკაშვილის, თბილისის მერის და სხვა პირების მიმართ. რამ დაუგროვა ასეთი ბოღმა, მართლა არ ვიცი“, – განაცხადა სუბარმა. (ნიუპოსტი)



**მის სახით უნდა გაცემულიყო? თუკი თავის დროზე ეს ინიციატივა ხალხის სოციალური ფონის შემსუბუქებაზე იყო ორიენტირებული, რა შეიცვალა ამ ერთ წელიწადში, სოციალური ფონი გამოსწორდა?**

**ამ საკითხების გასარკვევად „ალიამ" ფინანსთა სამინის-**

ციალურად დაუცველთა შეფასების ახალი სისტემა, რომელიც უკეთ განსაზღვრავს ღარიბ ოჯახებს და ითვალისწინებს ბავშვთა შეღავათებს. ახალი მეთოდოლოგია შემუშავებულია მსოფლიო ბანკისა და გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით და უკეთ ასახავს სოციალურად

**ბის სოციალური ფონი დაასახელა. ახლა რატომ აუქმებს, ხალხი გამდიდრდა და აღარ სჭირდებათ დაუბეგრავი მინიმუმის აღება?**

– წინ არის მოსმენები და ვფიქრობ, ამასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები იქნება. ეს არის თავისი არსით სოციალური პაკეტი, ანუ ეს

**დასთანხმდებით ამ წინადადებას?**

– იმ შემთხვევაში, თუ უპირობოდ მიემართება ეს თანხა ისეთ სოციალურ პაკეტზე, რომელიც ძალიან საჭიროა და ყოფას შეუმსუბუქებს სოციალურად შეჭირვებულ საზოგადოებას. მე ასევე მაინტერესებს საგადასახადო შეღავათების საკითხებიც. ბევრი

# რატომ

## უქმდება დაუბეგრავი მინიმუმი?

## ასაიდუმლოებენ 120 მილიონის დანიშნულებას?

2016 წლიდან დაუბეგრავი მინიმუმი აღარ გაიცემა. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე განმარტავს, გამოთავისუფლებული თანხები სოციალურ პროგრამებს მოხმარდება. თუმცა რა პროგრამებზეა საუბარი, მას არ დაუკონკრეტებია. რაც შეეხება 2014 წლის გადახდილი გადასახადების დაბრუნებას, კაკაურიძის თქმით, მოქალაქეები ამ თანხებს ჩვეულებრივ დაიბრუნებენ.

საგადასახადო კოდექსში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება ფინანსთა სამინისტრომ 2013 წელს შემოიტანა, რომლის თანახმად იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა წლიური დარიცხული შემოსავალი 6000 ლარს არ აღემატებოდა, დაუბეგრავი მინიმუმის სახით 360 ლარი უკან უნდა დაებრუნებინათ.

**რა მიზეზით ცვლიან კანონს? რაში დაიხარჯება ის თანხა, რომელიც დაუბეგრავი მინიმუ-**

**ტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს თეა ბეგიაშვილს მიმართა, რომელმაც პასუხი წერილობით გამოგვიგზავნა:**

„პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ 2015 წელს კვლავ გაიცემა დაუბეგრავი მინიმუმი 2014 წელს მიღებულ შემოსავალზე და ყველა ის ფიზიკური პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 2014 წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, დაუბეგრავი მინიმუმის სახით თანხას უკან დაიბრუნებს 2015 წლის განმავლობაში (აღნიშნული თანხის მოცულობა დაახლოებით 140 მილიონი ლარი იქნება). 2016 წელს კი დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმების შედეგად გამოთავისუფლებული თანხა მიიმართება სოციალური პროგრამის დაფინანსების ზრდაზე. 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ქვეყანაში იქნება სოციალურად დაუცველთა შეფასების ახალი სისტემა...

დაუცველი ოჯახების საჭიროებებს და მიზნად ისახავს, მეტი დახმარება მიიღოს მან, ვისაც ეს მეტად ესაჭიროება. სოციალურად დაუცველი ოჯახების ქულები განისაზღვრება უფრო ობიექტური კრიტერიუმებით, მასზე ზეგავლენას ვეღარ მოახდენს სუბიექტური შეფასებები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაიზრდება სოციალური პროგრამებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების მიზნობრიობა და ეფექტიანობა".

**რადგან პასუხი კონკრეტიკას მოკლებულია, ამიტომ „ალია" საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ნოდარ ებანოიძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ნოდარ, ხელისუფლებამ თავის დროზე ეს ინიციატივა რომ შემოიტანა პარლამენტში, მიზეზად მოსახლეო-**

არის იმ ადამიანთა დახმარება, რომელთა შემოსავალიც არის მცირე. მთავრობა ამბობს, რომ ეს თანხა მთლიანად იქნება მიმართული სოციალურ პროგრამაზე, უფრო დაიცავს სოციალურად დაუცველებს. მე ვიქნები ძალიან ყურადღებით, მივადევნებთ თვალყურს, რა მიმართულებით წაიღებენ ამ თანხას. ეს არ არის ჩემთვის უმნიშვნელო საკითხი. ჩვენი ბიუჯეტი სოციალური ბიუჯეტია და ადამიანთა სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე სხვა გზა არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ მივმართოთ სახსრები იმ მიმართულებით, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. ამ თანხის მიმართვა მინდა იმ დანიშნულებით, რომ გადაფაროს წუხილი იმ ადამიანების, ვისაც ამ თანხის დაკარგვა აღელვებს. 360 ლარი მათთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

— რა შემთხვევაში კითხვა მაქვს და დავსვამ ამ კითხვებს.

**— ბატონო ნოდარ, არ არის უხერხული ამხელა პრემიებისა და ხელფასების ფონზე ისედაც გაჭირვებული მოქალაქეებს ამ 360 ლარს რომ ართმევენ? ჯერ აძლევთ თანხას და მერე ართმევთ. ამას ხალხს როგორ აუხსნით?**

– ჩვენნაირ ქვეყანაში პრემიებისა და მაღალი ხელფასების საკითხი მეც მაღელვებს. მოვითხოვ შესაბამის ახსნას, სად წავა 120 მილიონამდე ლარი, რომელიც ბიუჯეტში გამოთავისუფლდება. ბევრი კითხვა მაქვს მეც, ასე რომ, თქვენი კითხვა არც გამკვირვებია და სანამ ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მწვავე კითხვები სულ იქნება. მადლობა ღმერთს, რომ ამ უმრავლესობაში კითხვების დასმის უფლება მაქვს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნუ გიკვირთ, რომ პრეზიდენტად კვლავ მიხეილ სააკაშვილს მოიხსენიებენ"



„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, ნუგზარ წიკლაური საპარლამენტო უმრავლესობის პროტესტს გამოეხმაურა, რომელიც ევროპარლამენტარ იაცეკ სარიუშ-ვოლსკის იმ განცხადებას ეხებოდა, რომლის მიხედვითაც ის საქართველოს პრეზიდენტად კვლავ მიხეილ სააკაშვილს აღიქვამს.

„ნუ გიკვირთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს სხვადასხვა ქვეყანაში ეძახიან საპასუხისმგებლო პოსტებზე. „ნაციონალური მოძრაობა" არის რეფორმატორების ძალიან ცნობილი გუნდი, დიდი გამოცდილებით და დიდი ავტორიტეტით. ასევე ნუ გიკვირთ, რომ პრეზიდენტად მოიხსენიებენ მიხეილ სააკაშვილს, რადგან ყველაფერი გააკეთეთ თქვენ „ქართულმა ოცნებამ", რომ საქართველოს არჩეულ პრეზიდენტს, მარგველაშვილს არავითარი ნიშანწყალი და თვისება არ ჰქონდეს", – განაცხადა წიკლაურმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსული „ტრიკოლორი" თბილისის ქუჩებში



ბოლო პერიოდში ქალაქში მასობრივად გამოჩნდა რუსული კომპანია „აეროფლოტის" სარეკლამო ბილბორდები, სადაც მთავარ ადგილს იკავებს რუსული დროშა. რამდენად მიზანშეწონილია ოკუპანტი სახელმწიფოს ატრიბუტიკის განთავსება თბილისის ქუჩებში, იმ რუსული დროშის, რომელიც დღეს სოხუმისა და ცხინვალის თავზე ფრიალებს?

„ეს არის ამაზრზენი და მიუღებელი, რადგან ამ რუსული „ტრიკოლორის" (როგორც თვითონ ეძახიან) ქვეშ, 2008 წელს კლავდნენ ასობით ქართველ მეომარს და მშვიდობიან მოსახლეობას. ეს არის ამ ადამიანების შეურაცხყოფა. არ მეგულება არც ერთი ქვეყანა, სადაც ტერიტორიების 20% არის ოკუპირებული და იქ ოკუპანტი ქვეყნის დროშა იყო ქალაქის ქუჩებში გამოფენილი ბილბორდებზე. ეს ხდება საქართველოში, სადაც ამ დღეებში დე იურე რუსეთმა გააფორმა აფხაზეთის ანექსია და საახალწლოდ აპირებს, საჩუქარი გაგვიკეთოს და გააფორმოს ცხინვალის დე იურე ანექსიაც. ეს ბილბორდები არის აეროპორტის ცენტრალურ ტრასაზე, მელიქიშვილზე და სხვა ცენტრალურ ქუჩებზე. ამ ბილბორდების მთავარი ლაიტმოტივი არის არა „აეროფლოტი", არამედ რუსეთის სახელმწიფო დროშა, რომელიც ახლა ფრიალებს სოხუმისა და ცხინვალის თავზე.

„რეფორმატორთა კლუბი" მოუწოდებს პარლამენტს, რომ განიხილონ და მიიღონ კანონი, რომლითაც აიკრძალება ოკუპანტი ქვეყნის სხვადასხვა სიმბოლიკის გამოყენება ჩვენს ტერიტორიაზე... რუსეთი ჩვენთვის არის იგივე, რაც ისლამისტური არმია ამერიკისთვის. რუსეთმა ჩვენ დიდი ხანია გამოგვიცხადა ჯიჰადი. არც ერთ ნორმალურ ადამიანს თავში აზრად არ მოუვა, ამერიკაში განათავსონ ბილბორდებზე ისლამისტური არმიის მწვანე დროშა და ჯიჰადის დროშა იყოს ვაშინგტონში ბილბორდებზე, მაგრამ ჩვენთან ცენტრალურ ქუჩებზე ვხედავთ ქვეყნის დროშას, რომლის ქვეშაც გრძელდება ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია", – აცხადებს შაშკინი. (ნიუპოსტი)

## რა არ ათქმევინეს ეკა კვესიტაძეზე დეპუტატ ლორთქიფანიძეს პარლამენტში?



**საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, დათო ლორთქიფანიძეს, პარლამენტში, განცხადებების გაკეთების პერიოდში, სიტყვის გამოთქმის საშუალება არ მიეცა, რაც დეპუტატის პროტესტის საგანი გახდა.**

**რის თქმას აპირებდა და ვერ თქვა დეპუტატმა პარლამენტში?**

**„ალიას" დათო ლორთქიფანიძე ესაუბრა:**

– ოთხშაბათი, განცხადებების გაკეთების დღეა. ჩვენ ჩაწერილი ვიყავით განმცხადებლების სიაში რიგითობის მიხედვით. მერე ისე მოხდა, რომ სულ რვა კაცი გამოვიდა სიტყვით, აქედან 7 კაცი „ნაციონალური მოძრაობიდან", ხოლო ერთი „ქართული ოცნებიდან", ეს იყო გოგი ქავთარაძე. მე ამ ყველაფრის მიმართ პროტესტის გრძნობა გამიჩნდა, რაც ხმამაღლა გამოვხატე. აღმოჩნდა, რომ განცხადებებისთვის რეგლამენტით გათვალისწინებული დრო, ერთი საათი, ნახევარი საათით შეუცვლია ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს, ჩვენ ამის თაობაზე არ ვიცოდით. კანონით გათვალისწინებული მუხლები მოიშველია ამის დასამტკიცებლად, ვერ მოგცემთო სიტყვას. დატვირთული დღის წესრიგიაო. ამაზე მქონდა რეაქცია.

**— რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ, როცა კვირაში განცხადებებისთვის ერთი დღეა გამოყოფილი და ამ დღესაც საპარლამენტო უმცირესობის 7 წარმომადგენელი საუბრობს, ხოლო საპარლამენტო უმრავლესობიდან მხოლოდ ერთი? ან საერთოდ, რატომ გადაწყდა ერთი საათის ნახევარ საათამდე შემცირება, ეს რით ახსნა სპიკერმა?**

– ადრე ასეთი შეთანხმება იყო: „ნაციონალური მოძრაობის" სამი წარმომადგენელი გამოდიოდა, შემდეგ კი ტრიბუნა უმრავლესობის ორ წარმომადგენელს ეთმობოდა. ეს პროცედურა დაირღვა. რეგლამენტის თანახმად, გამომსვლელი წინასწარ ეწერება, ჩვენ ველოდით დროს და აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ იყო. ამით რეგლამენტი არ დარღვეულა, მაგრამ ეს თავისთავად არ არის კარგი, იმიტომ, რომ ისედაც კვირაში ერთი დღეა განცხადებებისთვის. მე ეს ხმამაღლა დავაფიქსირე.

**— რის თქმას აპირებდით?**

– ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის 6 დეკემბრის „განსხვავებული აქცენტებზე" მინდოდა მესაუბრა. ამ გადაცემის მეშვეობით, მან საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა. ზოგადად, ეს ქალი, მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას აგრძელებს. ის „ნაციონალური მოძრაობის" დაკვეთების შემსრულებელ ჟურნალისტადაა ქცეული. აყალბებს ფაქტებს. ამის ნათელი დადასტურებაა 6 დეკემბრის „განსხვავებული აქცენტები", სადაც ის საუბრობდა ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით. გადაცემაში მოტანილია კადრი და ადევს სავსებით შეუფერებელი ტექსტი. ანუ საუბარია ძველი ხელისუფლების მოქმედებაზე და კადრებში ვხედავთ ღარიბაშვილს, ჭიკაიძეს, ხვედელიძეს, ტაბატაძეს... ამ ადამიანების ამ გადაცემაში ასახვა მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ემსახურება, თითქოს იმ სპეცოპერაციაში მონაწილე პირები ჰყავს დღეს ხელისუფლებას მაღალ თანამდებობებზე.

ქალბატონმა კვესიტაძემ ბოდიში უნდა მოიხადოს ხელისუფლების წინაშე, იმის გამო, რომ ასეთი გადაცემით, „ქართული ოცნება" ლაფში ამოსვარა. ამის თქმას ვაპირებდი.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80



# რატომ არაფერი თქვა სესიაშვილმა ჯარის იმ პრობლემაზე, რაზეც ივანიშვილმა ისაუბრა?

„ნაციონალი“ დეპუტატის, ნუგზარ წიკლაურის თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ აღიარა, რომ ჯარში სრული კატასტროფაა:

„ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ქართულ ჯარს ტყვია-წამლის შესაძენი ფული არ აქვს. თავდაცვის ახალი მინისტრი მინდია ჯანელიძე აცხადებს, რომ სხვადასხვა საჯარისო ფორმირებებში კვების თვალსაზრისით უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა. ასევე, „ქართული ოცნება“ საუბრობს იმაზე, რომ ამ ორი წლის განმავლობაში მრავალმილიონიანი კორუფციული ტენდერები ტარდებოდა. პრაქტიკულად „ქართულმა ოცნებამ“ აღიარა, რომ დღეს ჯარში სრული კატასტროფაა. არადა, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, „ნდობის ჯგუფის“ ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი დიამეტრალურად საპირისპირო სურათს გვიხატავდა და მას ერთი სიტყვითაც არ უთქვამს ჯარში შექმნილი ამ სავალალო მდგომარეობის შესახებ. არადა, მას უნდა ჰქონოდა დეტალური ინფორმაცია, რა ხდებოდა ჩვენს საჯარისო შენაერთებში. ფაქტია, რომ ის უმალავდა ამ საგანგაშო მდგომარეობას პარლამენტს“.

**რა ხდება რეალურად ჯარში? რის გადაფარვა უნდა წიკლაურს და რატომ არ საუბრობდა სესიაშვილი ჯარის იმ პრობლემებზე, რაზეც ბიძინა ივანიშვილმა ისაუბრა?**

**„ალია“ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ირაკლი, წიკლაური ამბობს, კატასტროფული ვითარებაა ჯარში და ამას სესიაშვილი მალავდაო.**

– მართლა ირონიაა, როდესაც ნუგზარ წიკლაურისგან ვისმენ ასეთ ცრუ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს. ნამდვილად არაა კატასტროფული ვითარება, ეს ვითარება იყო მაშინ, როგორც ჩაგვბარდა. რა პირობებშიც ჩაგვბარდა ჯარი, იქ ნამდვილად იყო რიგი მიმართულებებით კატასტროფა. მათ შორის, შეიარაღების მიმართულებით, კვების მიმართულებით, მთელი სისტემა იყო დაულაგებელი. ორი წლის განმავლობაში რა რეფორმებიც განხორციელდა, იყო წარმატებული და თუ დღეს ჩვენ ვამბობთ, რომ ვითარება არ არის ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი, ამას ვამბობთ არა იმ კუთხით, რომ სიტუაცია არ გაუმჯობესებულა, არამედ იმ კუთხით, როგორი პირობებიც გვინდა გვქონდეს ჯარისთვის.

**— წიკლაურს ივანიშვილისა და ჯანელიძის განცხადებები მოჰყავს, რომლებიც მეც მოვისმინე. თქვენ კი ამბობთ, ყველაფერი რიგზეაო. როგორც „ნდობის ჯგუფის“ ხელმძღვანელს, სრული ინფორმაცია არ გაქვთ?**

– მე მაინტერესებს პირველ რიგში, გივი თარგამაძე გამოდის ხოლმე და „ნდობის ჯგუფის“ საკითხებზე გველაპარაკება ხოლმე. ნდობის ჯგუფის ხელმძღვანელი იყო 8 წლის მანძილზე და ერთხელ არ ამოუღია ხმა რაიმე ტიპის დარღვევაზე მაშინ, როცა ჩვენ რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით მოვითხოვეთ საკითხების შესწავლა და ზოგიერთ შემთხვევაში საქმეების განსაიდუმლოება. იგივეს ვეტყვი წიკლაურსაც. საკუთარი უნიათო ქცევა უნდა, რომ დაფაროს და გადააბრალოს ხელისუფლებას, რომელიც ძალღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ რეალური ცვლილებები განხორციელდეს და ჯარი იყოს იმ სახით, რომელიც ქვეყანას სჭირდება.

**— ჯარს ტყვია-წამალი არ ჰქონდა ალასანიას დროსო, ბიძინა ივანიშვილის სიტყვებია. ამის შესახებ მანამდე არაფერი გითქვამთ. თითქოს ისე გამოვიდა, რომ ალასანიას ხელს აფარებდით.**

– პირველ რიგში, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ რა მემკვიდრეობაც ჩაგვბარდა, ის იყო ძალიან არასახარბიელო ვითარება და ჩვენ, მათ შორის, მინისტრმა ალასანიამ შეძლო ამ ვითარების გამოსწორება იმ შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენებით, რაც მას ჰქონდა. შეიძლება, მას მეტი მოეთხოვებოდა, ან რიგ შემთხვევებში მას ცალკეულ საკითხებზე უნდა მეტად გაემახვილებინა ყურადღება, რაზეც მასთან ღიად მქონდა საუბარი, მაგრამ ჩვენ როცა ვითარებას ვაანალიზებთ და დღევანდელი მინისტრი საუბრობს, რომ სასადილოებში საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, ჩვენ ამ შემთხვევაში მიზნად გვაქვს აღებული მაღალი სტანდარტი. არ დაავიწყდეს წიკლაურს, რომ ამაზე უარესი მდგომარეობა მივიღეთ 2012 წელს, როცა სასადილოებში ცუდი მდგომარეობა კი არ იყო, სასადილო საერთოდ არ გვქონდა. ყაზარმა არ გვქონდა და ჯარისკაცებს რომ ეძინათ, კაცმა არ იცოდა, როდის ჩამოინგრეოდა. ფული კი იხარჯებოდა ძვირადღირებულ სპორტულ მანქანებზე, ფეშენებელურ რემონტებზე. მაშინ მოეკითხა წიკლაურს, რაში იხარჯებოდა საბიუჯეტო სახსრები. დღეს თუ რამე გამოიყოფა, იხარჯება მიზნობრივად. თუ კორუფციულ ფაქტს ადგილი ჰქონდა, განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, თვალი არავის დაუხუჭავს. მილიონობით დოლარი არის გახარჯული მათ მიერ და პატრონი არ ჰყავდა. წიკლაურს არ აქვს უფლება, ჩემს კომპეტენციაზე ისაუბროს. კარგად ვიცი, რაც ხდება ჯარში, ვიცოდი, რა ხდებოდა მანამდე და სად მივდივართ, ესეც ვიცი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სვანურ ქუდსა და მარილს არამატერიალური ძეგლის სტატუსს მიანიჭებენ



ზემო სვანეთში ჩატარებული ექსპედიციის შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციამ „მემკვიდრეობა მომავლისთვის“ გამოავლინა 174 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი და დაამუშავა 80 საველე და 51 სააღრიცხვო ბარათი.

მუშაობის შედეგად, უკვე გამოიკვეთა რამდენიმე ათეული გამორჩეული ნიმუში – უძველესი სვანური საკრავი – ჭუნირი, ხეზე კვეთის ტრადიცია, სვანური ქუდის დამზადების ტექნოლოგია, ფეტვიანი ხაჭაპური და ქალთა ფერხული, რომელთა დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით, წლის ბოლომდე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გამოვლენილ მასალებს, არამატერიალური ძეგლის სტატუსს მიანიჭებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ეროვნულ ბანკს სავალუტო რეზერვები საკმარისი ოდენობით აქვს“




ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის განცხადებით, რამდენიმე კვირაში იქნება წარმოდგენილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასკვნა, რომელმაც შეაფასა მთლიანად ეროვნული ბანკის მუშაობა და ეს დასკვნა 2006 წლის შემდეგ პირველია.

ქადაგიძე ლარის კურსთან დაკავშირებით პროგნოზს არ აკეთებს და აცხადებს, რომ ეროვნული ბანკი ნოემბრისა და დეკემბრის ინფლაციის მაჩვენებელს ელოდება. მისი თქმით, საქართველოს მოსახლეობისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, გაიგოს, როგორ იმოქმედებს ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები ფასებზე.

მისივე თქმით, ეროვნული ბანკი ყოველდღიურ რეჟიმში აგრძელებს დაკვირვებას და ინფლაციის ანალიზს.

„გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ნოემბრისა და დეკემბრის ინფლაციის მაჩვენებელს. მას მერე, რაც გვექნება ინფორმაცია ინფლაციასა და ფასების ზოგად დონესთან დაკავშირებით, გადავწყვეტთ, შევცვალოთ თუ არა ჩვენი მონეტარული პოლიტიკა“, – აღნიშნა ქადაგიძემ.

„ბოლო პერიოდში რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაციები, რომ თითქოსდა ჩვენ აღარ გვაქვს სათანადო რაოდენობის სავალუტო რეზერვი ან ის, რომ რაიმე ფორმით შეზღუდული ვართ ამა თუ იმ ტიპის ინტერვენციაში. სავალუტო რეზერვები საკმარისი ოდენობით გვაქვს, რაც არის გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტებით“, – დასძინა ქადაგიძემ.

(ნიუპოსტი)

# რას წარმოადგენს დაზღვევის ზედამხედველობის საბჭო და რატომ შეჰყავთ საბჭოში ორი მინისტრი?



დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოში მინისტრების კვოტა იზრდება და მისი შემადგენლობა, ორის ნაცვლად, ოთხი მინისტრით იქნება წარმოდგენილი. საბჭოს შემადგენლობა 5-დან შვიდ წევრამდე იზრდება, სადაც ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების გარდა, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებიც შევლენ.

მოქმედი კანონის გათვალისწინებით, საბჭოს წევრები არიან პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს და, ასევე, პრემიერის მიერ წარდგენილი ორი ექსპერტი არასამთავრობო სექტორიდან. კანონში დაგეგმილი ცვლილებები ეხება თავად დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსსაც. კერძოდ, თანამდებობაზე კონკრეტული ვადით, 5 წლით დაინიშნება.

**რას წარმოადგენს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური? რა ფუნქციები შედის მის მოვალეობაში? რას უწევს ზედამხედველობას და რატომ გახდა საჭირო საბჭოში მინისტრების კვოტის დამატება?**

**„ალიას“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დავით ონოფრიშვილი ესაუბრა:**

– ამ სამსახურის ფუნქციაა დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისთვის ხელის შეწყობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რისთვისაც ის ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობის განზოგადებას. ასევე, ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და მისი შესრულების კონტროლი, ახალი კანონპროექტებისა და სხვა პროექტების, ასევე არსებულებში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტების შემუშავება, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ინიცირებული სახელმწიფო, მუნიციპალური და დარგობრივი სადაზღვევო პროგრამების შეთანხმება, ანუ ეს არის საკონსულტაციო ორგანო. ვისმენთ ანგარიშებს, როგორც 6 თვის, ანუ შუალედურს, ასევე სამსახურის საქმიანობის წლიურ ანგარიშს. ამავდროულად საქმის კურსში ვართ ყველა მიმდინარე საკითხის, ასევე, საბჭო წარადგენს ხელმძღვანელის კანდიდატურას, რომელსაც ამტკიცებს პრემიერ-მინისტრი.

**— საბჭოს წევრების მუშაობა ანაზღაურებადია?**

– საკონსულტაციო საქმიანობას ვეწევით და ეს არ არის ანაზღაურებადი. აპარატიც არ აქვს, უბრალოდ, ვიკრიბებით წელიწადში ორჯერ ან სამჯერ, იმის მიხედვით, რამდენად დგას შეკრების აუცილებლობა. ვიკრიბებით, ვწყვეტთ პრობლემურ საკითხს და ვაძლევთ რეკომენდაციებს სამსახურის უფროსებსა და მთავრობასაც, მთავრობის წევრებიც შედიან ამ საბჭოში.

**— მინისტრები რა პრინციპით იყვნენ შერჩეული საბჭოს შემადგენლობაში?**

– ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების საბჭოში შესვლა პარლამენტმა გადაწყვიტა, აუცილებლად მიიჩნია ეკონომიკის მინისტრის შეყვანა, ვინაიდან დაზღვევის სფერო ეკონომიკის სფეროს ერთ-ერთი ნაწილია. ახლა კი საბჭოს წევრებმა ჩათვალეს, რომ ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები აუცილებლად უნდა ჩართულიყვნენ, ვინაიდან ჯანდაცვის სფეროს ძალიან დიდი ნაწილი უჭირავს დაზღვევაში. მართალია, ახლა უფრო სახელმწიფო აზღვევს ძირითადად, ამის მიუხედავად, სადაზღვევო კომპანიები ახლაც მუშაობენ. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, როგორც იცით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაზღვევაა დაწყებული და აქედან გამომდინარე საკონსულტაციო ორგანოში მათი შესვლაც აუცილებელი გახდა, მათაც უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში. ეს ორი მინისტრი საბჭოში რომ შევიდეს, ამისთვის კანონში უნდა შევიდეს ცვლილება. ინიციატივა ჩემია, პირველი მოსმენით არ განხილულა ჯერ, თუმცა წლის ბოლომდე ცვლილება მიღებული იქნება.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80



**„ალიას“ ზაქარია ქუცნაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო ზაქარია, საქართველოს პრემიერი საპროგრამო დაპირების ერთგულიაო, ამბობთ. შსს-ს გაყოფას სხვა მიზეზი არ აქვს?**

– ეს განცხადება გავაკეთე, 2012 წლის საარჩევნო დაპირებებიდან გამომდინარე. ჩვენ მოვედით დაპირებებით, კონკრეტული საარჩევნო პროგრამით და სწორედ ეს პროგრამა ითვალისწინებდა უშიშროების სისტემის გამოჯვნას შს სამინისტროსგან და დამოუკიდებელ სამინისტროდ ჩამოყალიბებას. პრემიერის განცხადება, სრულ თანხვედრაშია ჩვენს საპროგრამო დაპირებასთან.

**— როგორ გგონიათ, ასეთ მძიმე სოციალურ პირობებში, ხალხს ის აინტერესებს, უშიშროება შს სამინისტროს შემადგენლობაში დარჩება, თუ ცალკე სამსახურად ჩამოყალიბდება? ის დაპირებები რატომ არ გახსენდებათ, რაც უშუალოდ მოსახლეობაზე აისახება და დღემდე შეუსრულებლად რჩება?**

– კერძოდ, რომელ დაპირებას გულისხმობთ?

**— თუნდაც პენსიების საკითხი. პროგრამაში გიწერიათ, რომ პენსიონერებს ღირსეული ცხოვრების პირობებს შეუქმნიდით...**

– ჩვენს საპროგრამო დაპირებებში წერია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, პენსია იქნება საარსებო მინიმუმის ტოლი, 2012 წლის მონაცემებით, საარსებო მინიმუმი იყო 150 ლარი, ხოლო, 2014 წელს საარსებო მინიმუმი გახდა 161 ლარი. ასე რომ, პენსია მომავალ წელს იქნება 160 ლარი და ასე შესრულდება ჩვენი საპროგრამო დაპირება. სხვა თემაა ის, რამდენადაა ეს 160 ლარი საარსებო მინიმუმი. ანუ ჩვენ პენსია საარსებო მინიმუმის ტოლი 2013 წელსვე გავხადეთ.

**— მერე, 160 ლარით იცხოვრებს პენსიონერი ღირსეულად? მთავრობის შენახვაზე რომ ათობით მილიონი ჩაიდო მომავალი წლისთვის ბიუჯეტში, ის მიგეცათ პენსიონერებისთვის. ისედაც პენსიონერებზე ათჯერ და ოცჯერ მეტი ხელფასები აქვთ.**

– 10 ლარით პენსიის ზრდა, ეს ნიშნავს 84 მილიონით ხარჯების გაზრდას. მგონი, არაა ცოტა.

**— სხვათა შორის, დაპირება იყო პენსიის 220 ლარამდე გაზრდა. გუბაზ სანიკიძე 2012 წელს ამომრჩეველს ჰპირდებოდა, მომავალი პენსიები გადაისინჯება და საარსებო მინიმუმს გაუტოლდება, მინიმუმი 160 ლარია, მაგრამ გადაიხედება და 220 გახდებაო. ამას რომ თავი დავანებოთ, „ქართული ოცნების“ დაპირებები იყო მძიმე სოციალური ფონის გამოსწორება, ახალგაზრდების დასაქმება... რომელი ერთი ჩამოვთვალო?!**

– უმუშევრობა და გაჭირვება, საქართველოს უახლესი ისტორიის, 23 წლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ვინც ფიქრობს, რომ უმუშევრობისა და გაჭირვების დამარცხება ამ ეკონომიკითაა შესაძლებელი, ის ან თავს იტყუებს, ან ხალხს ატყუებს. ამ ეკონომიკით, უმუშევრობისა და გაჭირვების დამარცხება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად სამართლიანად გადავანაწილეთ ის მცირედი რესურსები, რაც ჩვენს ეკონომიკას გააჩნია. ამიტომ დავიწყეთ მუშაობა განათლებისა და ჯანდაცვის საკითხებზე და მგონია, რომ რაღაც შედეგს მივაღწიეთ. ჩვენ მრავალწლიანი შრომა მოგვიწევს, რათა შევქმნათ ძლიერი ქართული ეკონომიკა.

**— მერე რა გიშლიდათ ხელს, რომ ეკონომიკა სწორი მიმართულებით წაგეყვანათ? გამოდის, როცა ამომრჩეველს ჰპირდებოდით სოციალური ფონის გამოსწორებას და ახალგაზრდების დასაქმებას, ფუჭი იყო.**

– ჩვენ ვპირდებოდით, რომ ყველაფერს გავაკეთებდით, რათა ეკონომიკისთვის თავისუფლების მიცემით, საფუძველს ჩავუყრიდით ქართული ეკონომიკისა და ქართული ბიზნესის განვითარებას. ჩვენ ეს საფუძველი შევქმენით, საფუძველი ჩაყრილია, მაგრამ ამ შენობის მშენებლობა ჯერ არ არის დასრულებული და შეუძლებელია მშენებლობა დაიწყო მეათე სართულიდან. ქართული ეკონომიკის გამოსწორებას 6-8 წელიწადში თუ შევძლებთ და სიღარიბეს დავამარცხებთ, ეს იქნება ძალიან დიდი პროგრესი. ჩვენ არ გვითქვამს, რომ პირველივე წელს იქნებოდა კეთილდღეობა, დავამარცხებდით უმუშევრობასა და გაჭირვებას. წერია ეს სადმე?

**— თუმცა, ექსპრემიერი ივანიშვილი გვპირდებოდა, რომ ყოველი წელი ერთმანეთზე უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი პირიქითაა, დამძიმდა სიტუაცია, ხალხს ძალიან გაუჭირდა.**

– ჩვენ არ უნდა შევუქმნათ მოსახლეობას ცრუ მოლოდინები. ოთხი წელი, შექმნილი ვითარებიდან გამოსასვლელად, შეიძლება საკმარისი არ იყოს, მაგრამ შეიტანს გარდატეხას.

# რატომ გაახსენდა „ოცნებას“ მხოლოდ შსს და არ ახსოვს სხვა დაპირებები?

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ზაქარია ქუცნაშვილი, შს სამინისტროდან უსაფრთხოების გამოყოფის საკითხს გამოეხმაურა: „მივესალმები, რომ საქართველოს პრემიერი არის საპროგრამო დაპირების ერთგული. უნდა ჩამოყალიბდეს ახალი სამინისტრო, რომელიც წარმოიშვება შინაგან საქმეთა სამინისტროს წიაღიდან, რომელსაც ფუნქციონალურად სხვა დატვირთვა ექნება და ის იზრუნებს ქვეყნის უსაფრთხოებაზე და არა საზოგადოებრივ წესრიგზე ან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე“.

**რატომ არის შსს-დან უშიშროების გამოყოფა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სოციალური დაპირებები? რატომ არ სრულდება სოციალური ფონის გაუმჯობესების დასაქმების დაპირება?**

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „შესაძლოა, მერიის თანამშრომლები პასუხისგებაში მისცნენ“



თბილისის ვიცე-მერმა ალექსანდრე მარგიშვილმა მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და განაცხადა, რომ თბილისობასთან დაკავშირებული ხარჯების შესწავლის თხოვნით პროკურატურაში დოკუმენტაცია მერიამ გადააგზავნა.

„დარღვევა არ არის, მაგრამ ჩვენი მიდგომაა, რომ როდესაც საზოგადოებაში ჩნდება კითხვები, არ დავტოვოთ ეს კითხვები უპასუხოდ და არსებობდეს კვალიფიციური პასუხები. თუ ვინმეს ბრალეულობის საკითხი გამოიკვეთა, დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი“, – განაცხადა მარგიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურამ თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებულ შესყიდვების საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და მითვისება-გაფლანგვის მუხლებით გამოძიება დაიწყო.

„თბილისის მერიასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, საზოგადოების ინფორმირების მიზნით მთავარი პროკურატურა განმარტავს, რომ თბილისის მერიასა და გამგეობებში არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. მთავარ პროკურატურაში დაწყებულია გამოძიება 2014 წლის თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით განხორციელებული შესყიდვების კანონიერების შესწავლის მიზნით. ხსენებულ საქმეზე თბილისის მერია აქტიურად თანამშრომლობს გამოძიება, რის ფარგლებშიც მოხდება მათ მიერ შესყიდვასთან დაკავშირებით გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლა. გამოძიება დაწყებულია 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 182-ე მუხლის მეორე ნაწილით“, – აცხადებენ პროკურატურაში. (ნიუპოსტი)

## ლეიბორისტები მთავრობას კაბინეტებიდან „კინწისკვრით გამოყრას“ უწინასწარმეტყველებენ



„ლეიბორისტული პარტიის“ წევრი გიორგი გუგავა, ხელისუფლებას გაფრთხილებას აძლევს და დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმებასთან დაკავშირებულ ინიციატივას ანტისოციალურ გადაწყვეტილებას უწოდებს.

„ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, სანამ კინწისკვრით არ გამოუყრიხართ გაავებულ ხალხს კაბინეტებიდან, კეთილი ინებეთ და დაუტოვეთ მოქალაქეებს ისედაც მწირი თანხა, რომელიც მათ დაუბეგრავი მინიმუმის სახით ეკუთვნოდათ“. – განაცხადა გუგავამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## საკრებულოს უმცირესობა გამგებლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს



ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, ირაკლი აბესაძე, სამგორისა და საბურთალოს გამგებლებს დანაშაულში ამხელს. მისი განცხადებით, საბურთალოს გამგებელმა დაუკვეთა კლიპის გადაღება, კლიპი კი არავის უნახავს:

„ის, რომ დარღვევა სახეზეა, ამას არანაირი შესწავლა არ სჭირდება და ამ გამგებლების თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დგებოდეს დღესვე, ვინაიდან არავის არ უნდა ეპატიოს საკუთარი ოჯახის წევრებთან დაკავშირებულ ფირმებთან ასეთ გარიგებებში შესვლა. ვსაუბრობთ სამგორის გამგებელზე, ვსაუბრობთ საბურთალოს გამგებელზე, რომელმაც დაუკვეთა კლიპის გადაღება, გადაიხადა ფული და კლიპი არავის უნახავს“, – აცხადებს აბესაძე. (ნიუპოსტი)

## CIA ტერორიზმში ბრალდებულთა დასაკითხად სასტიკ მეთოდებს იყენებდა



ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა დაზვერვის კომიტეტის მიერ მომზადებული ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ტერორიზმში ბრალდებულთა დასაკითხად გამოყენებულ მეთოდებზეა საუბარი.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA) ტერორიზმში ბრალდებულთა დასაკითხად სასტიკ მეთოდებს იყენებდა. გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ითხოვენ იმ პირთა დაკავებას, რომლებმაც „ალ-ქაიდასთან“ კავშირში ბრალდებულთა წამების ნებართვა გასცეს, ასევე მათ პასუხისგებაში მიცემას, რომლებიც პატიმრებს აწამებდნენ.

აღნიშნული ანგარიში სენატის დაზვერვის კომიტეტმა მოამზადა, ანგარიში 6000-გვერდიანია, თუმცა, გრიფი „საიდუმლო“ ადევს. სენატის გადაწყვეტილებით, საჯარო მხოლოდ 525 გვერდი გახდა. (ნიუპოსტი)

## „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს




9 დეკემბერს ფოთში, გვიან ღამით რეკვავას ქუჩაზე „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს. სადგურზე ნიღბიანი და შეიარაღებული პირები შეიჭრნენ და იარაღის გამოყენებით 240 ლარი გაიტაცეს. დამნაშავეები ადგილზე სეიფის გატეხასაც ცდილობდნენ, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)



# ლარი მყარდება. რას ამბობენ გაზგასამართი სადგურები ფასების დაკლებაზე?

მესამე დღეა, თითქმის ყველა კომპანიაში საავტომობილო გაზის ფასმა 5 თეთრით მოიმატა და 1.15 ლარი შეადგინა. საავტომობილო გაზის ფასი უცვლელია მთავარი იმპორტიორის „სოკარის“ გაზგასამართ სადგურებზე და დღევანდელი მდგომარეობით, 1.09 ლარია. ფასის მატებას კომპანიები დოლართან მიმართებაში ლარის კურსის ცვლილებას უკავშირებენ და აცხადებენ, რომ, თუ ლარის გაცვლითი კურსი ძველ ნიშნულს დაუბრუნდება, ფასი კვლავ 1 ლარი და 10 თეთრი გახდება.

საქართველოში ასეა, ფასის მატება ელვის სისწრაფით ხდება, თუმცა, როგორც წესი, კურსის დასტაბილურება ნაკლებად მოქმედებს სხვადასხვა სახის პროდუქტებზე, მათ შორის ნავთობპროდუქტებზეც.

ბოლო ორი დღის განმავლობაში, ეროვნული ვალუტა ნელ-ნელა ძველ ნიშნულს უბრუნდება. „ალია“ დაინტერესდა, აისახება თუ არა ავტოგაზის ფასებზე და ზოგადად, როგორ აისახა ქვეყანაში შექმნილი ფინანსურ-ეკონომიკური ვითარება საავტომობილო გაზით მოვაჭრე კომპანიებზე?

**„ალია“ „ეკოგაზს“ კომპანიის ცხელი ხაზის საშუალებით დაუკავშირდა, კომპანიაში, ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავად და ღიად უპასუხეს, თუმცა ვინაობის გამხელა არ ისურვეს და გვთხოვეს, მიგვენიშნებინა, რომ გაზეთს კომპანიის ნდობით აღჭურვილი პირი ესაუბრებოდა:**

– ამ დროისთვის, ჩვენთან გაზის ღირებულება 1 ლარს და 15 თეთრს შეადგენს, ეს განაპირობა ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ.

— **ლარის კურსი მყარდება. ეს აისახება აღნიშნული ფასზე?**

– ჩვენ გაზს დოლარში ვყიდულობთ, დოლარი გაძვირდა, გაზგასამართ სადგურებს სესხები აღებული გვაქვს დოლარში, შესაბამისად, დოლარში გვიწევს პროცენტის გადახდა ბანკებისთვის. გამოდის, რომ ჩვენ ორმაგი გაძვირების ქვეშ ვართ. 5-თეთრიანი გაძვირება, ეს იყო მიზერი, დიდად ვერაფერში გვეხმარება. ის ცვლილება, რაც ლარის კურსს შეეხო, იმდენად მიზერულია, რომ არ გვაძლევს საშუალებას, გავაიაფოთ. თან ეს გამყარება ჩვენთვის არასაიმედოა, ეს, რაც მოხდა, მგონი, მეორე დღეა. ერთი თვე რომ ამ კურსზე იყოს უცვლელად, კიდევ იძლევა რაღაც საშუალებას, რომ რაღაც მოიმოქმედო, ჩრდილის ქვეშაა კურსის საკითხი და მე რომ ფასი დავწიო, არ მაქვს გარანტია, რომ ხვალ იგივე არ მოხდება.

— **„სოკარი“ ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა და ფასი არ მოუმატებია. თუ გქონიათ საუბარი, რომ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, რაღაც შეღავათები გაეწიათ თქვენთვის?**

– „სოკარისაა“ გაზი, არავინ არაფერს არ დააბალანსებს და შეცვლის. მოლაპარაკებას აზრი არ აქვს, არანაირ მოლაპარაკებებზე არ გამოდიან ეგენი.

— **აბა, როგორ აპირებთ გაუწიოთ კონკურენცია? „სოკარში“ გაზი თქვენს კომპანიასთან შედარებით 6 თეთრით იაფი ღირს...**

– ხარისხით, ჩვენი გაზის კომპრესორები უფრო დახვეწილია.

— **ფასის აწევამ, როგორ იმოქმედა კლიენტურაზე, შემცირებულია რაოდენობრივად?**

– კლიენტების რაოდენობა, მიუხედავად ფასის ცვლილების, არ შეცვლილა.

„ალია“ „გალფსაც“ დაუკავშირდა. სიტუაცია, აღნიშნულ კომპანიაშიც თითქმის იგივეა. როგორც „გალფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა „ალიასთან“ საუბრისას განმარტა, გაზის ფასი, მათ ქსელშიც 5 თეთრითაა მომატებული და მიზეზად ინფლაციას ასახელებენ. მომწოდებელთან მოლაპარაკებებს არც ამ კომპანიაში უყურებენ იმედიანად, ხოლო როგორ გაუწევენ კონკურენციას „სოკარს“, ამაზე კომპანიაში არ საუბრობენ, ვინაიდან ბაზარზე მსხვილ მოთამაშედ არ მიიჩნევენ თავს.

რას აპირებს „სოკარი“? ამ კითხვით „ალიამ“ „სოკარს“ მიმართა, კომპანიის წარმომადგენლებმა ფირმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან დაგვაკავშირა, რომელიც საქართველოში არ აღმოჩნდა. გვითხრა, საქმის კურსში არ ვარ, მომწერეთ და ვეცდები, კომპეტენტურ პირს დაგაკავშიროთო. მივწერეთ, „გეგმავთ თუ არა საავტომობილო გაზის ფასებთან დაკავშირებით სხვა კომპანიებთან მოლაპარაკებას. როდესაც 1 დოლარი 2 ლარს მიუახლოვდა, გაზგასამართ სადგურებზე ფასი, წესით, 1,25 ლარამდე უნდა აწეულიყო. რამდენად აწვდით კომპანიებს გაზს?“ თუმცა, ამის მერე აღარ შეგვხმიანებია.

**შეუძლებელი გახდა საუბარი ასევე საავტომობილო გაზით მოვაჭრე სხვა კომპანიებთან. შემდეგ, რაც იგებდნენ, რომ ჟურნალისტი უკავშირდებოდათ, „ალიადან“ საუბარზე ზრდილობიანად გვეუბნებოდნენ უარს.**

„თი ბი ეს ჯგუფი“: „არ მცალია და არც ვიცი, როდის მეცლება“;

„სუპერგაზი იტალია“: „გზაში ვარ, ვერ დაგელაპარაკებით“;

„ეკოგაზი“: „ოფიციალურად მოგვწერეთ და ისე გიპასუხებთ, სხვანაირად ვერ დაგეხმარებით“...

**დიანა ლიპარტელიანი**
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პრეზიდენტმა ქართული წარმოშობის თურქი მოღვაწეები დააჯილდოვა



საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თურქეთის რესპუბლიკის საჯარო და კერძო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისთვის ქართული წარმოშობის თურქი მოღვაწეები სახელმწიფო ჯილდოებით დააჯილდოვეს.

სტამბოლის „ქართული კულტურის სახლის“ დამფუძნებელი ერდალ ქუჩუქი (ელიზბარ ცივნარიძე) და ცნობილი ანკარელი მწერალი ქევსერ რუჰი (ქეთევან ხანთაძე) „ოქროს საწმისით“ დაჯილდოვდნენ, ხოლო „მარმარილოს ზღვის ქართველების პლატფორმის“ წევრს მუსტაფა კოლატს ღირსების ორდენი გადაეცა. შესაბამისი განკარგულება საქართველოს პრეზიდენტმა უკვე გამოსცა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თბილისის ზოოპარკში ვეფხვმა ახალგაზრდა მამაკაცი დატორა

თბილისის ზოოპარკი ვეფხვების ვოლიერთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„9 დეკემბერს, 17:30 წუთზე, ორმა ახალგაზრდამ მტაცებლების ვოლიერის დამცავი ბარიერი გადალახა და აკრძალულ ტერიტორიაზე შეაღწია. ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნების მიუხედავად, ისინი დასაშვებზე ახლოს მიუახლოვდნენ ვეფხვების ვოლიერს. შედეგად, ვეფხვმა ვოლიერის შიგნიდან, თათით ერთ-ერთი ახალგაზრდისთვის ფეხის დაზიანება შეძლო.

ახალგაზრდის გადარჩენა ზოოპარკის თანამშრომლების დროული რეაგირების შედეგად მოხერხდა. შემთხვევის ადგილზე გამოძახებულ იქნა სასწრაფო დახმარების ჯგუფი და საპატრულო პოლიცია. დაშავებული თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ახალგაზრდას ფეხი აქვს დაზიანებული. ექიმების განცხადებით ამ დროისთვის მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

თბილისის ზოოპარკი მოგიწოდებთ, დაემორჩილეთ ზოოპარკში ქცევის წესებს, მიაქციეთ ყურადღება ტერიტორიაზე განთავსებულ გამაფრთხილებელ ნიშნებს, ნუ გადალახავთ დამცავ ბარიერებს და ნუ მიუახლოვდებით ცხოველებს დასაშვებზე ახლოს. გაუფრთხილდით საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას!!!“, – ნათქვამია განცხადებაში.

(ნიუპოსტი)

# ვის გამო ჭიანურდება თბილისში საცობების პრობლემის მოგვარება?



10 დეკემბერს საკრებულოს დეპუტატები ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს, პაატა ჯაჭვლიანს შეხვდნენ და წინასწარ დაანონსებულ საკითხებზე უნდა ესაუბრათ: ტრანსპორტის სამსახურის სამოქმედო გეგმა თბილისში არსებული საცობების მოგვარების კუთხით; რა ხედვა აქვს მერიას საზოგადოებრივი ტრანსპორტის განტვირთვისა და გამართული მუშაობისთვის; საგზაო ნიშნების, ხელოვნური ბორცვების განთავსება და მონიტორინგი.

**რაზე არ ჰქონდა პასუხები საქალაქო სამსახურს? რა აღიარა და ვის აბრალებს საცობებს ტრანსპორტის სამსახური? ვის გამო ჭიანურდება საცობების პრობლემის მოგვარება?**

**„ალია“ საკრებულოს დეპუტატს ზაზა ვეკუას ესაუბრა.**

— **ბატონო ზაზა, რა საკითხების განხილვა მოახერხეთ შეხვედრაზე?**

– დავსვით ყველა ის საკითხი, რაზეც გესაუბრეთ და რაც „ალიაში“ დაიბეჭდა. ვუთხარით, რომ გასაგებია, ყველა საკითხს თქვენი სამსახური ვერ გადაწყვეტს, მერიამ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ხედვები გვაინტერესებდა. საუბარი იყო იმაზე, რომ 43 ქუჩა ერთდროულად არის გადათხრილი და აკეთებენ. მე ვთქვი, რომ ითხოვთ დაფინანსებას ამ ქუჩების აღდგენასა და ასფალტის დაგებაზე, თუ გაქვთ გაცნობიერებული, რა შეიძლება გამოიწვიოს ამ ქუჩების გადათხრამ? ეს გამოიწვევს დიდ საცობს, როცა ორი და სამი პარალელური ქუჩა არის გადათხრილი. თვლიან, რომ პრობლემაა, აბრალებენ სხვა სამსახურს ყველაფერს.

— **ვისკენ იშვერენ ხელს?**

– მერიის სამსახურებისკენ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ნარმანიას რომ დაუჭირეს მხარი, უნდა გააკეთოს რამე. ოგბაიძეს ჰქონდა საუბარი ყვითელ ავტობუსებთან დაკავშირებით, მოიტანეს ხელშეკრულებები გადასახედად. შალვა ეუბნებოდა, რომ ეს არ არის უსაფრთხო, რომ გავატაროთ, ვერც ერთი ტექდათვალიერებას ვერ გაივლისო, რას შვრებით, ხალხს რატომ სვამთ ამ ტრანსპორტშიო, კითხვა დასვა. სამარშრუტო ტაქსებზეც ვისაუბრეთ, სადაც ფეხზე მდგომი ადამიანი საფრთხის შემცველია. რეალურად, პირველ რიგში, მათ უნდა უნდოდეთ ამის გამოსწორება, თორემ მე რიგითმა დეპუტატმა მეტი რა გავაკეთო, გამოდის, რომ უუნაროა ნარმანია და დავიწყო მისი ლანძღვა? გამოდის, რომ არ კეთდება და ხომ უნდა ვთქვათ.

— **რაიმე გეგმა წარმოადგინეს?**

– საუბარი იყო ზოგადად, რომ ეს არის პრობლემატური საკითხი, ყველა დიდ ქალაქში ასეა, გამოსავლად დაასახელეს ის, რომ ნარმანიამ რომელიღაც გერმანულ ფირმას გაუფორმა ხელშეკრულება ამ პრობლემის მოგვარებაზეო. არ გაუფორმებია ჯერ, მაგრამ ხომ გააფორმებს? ეს ფირმა კი დადებს მასალას, მაგრამ როდის. მე დავსვი საკითხი სწრაფი რეაგირების ჯგუფის შექმნის აუცილებლობის შესახებაც. შალვამ რამდენიმე მაგალითი დაასახელა. სადაც თვითმხილველი ხდებოდა საცობების, როცა ამ სამსახურს ურეკავდა, მაშინვე გვარდებოდა პრობლემა. ერთხელ გზაში დიდი ავტობუსი იყო გახერგილი, როცა ჩააყენა ეს სამსახური საქმის კურსში, მოვიდნენ, გაწიეს და მანქანების კოლონა დაიძრა. აი, რატომაა საჭირო ლოკალური განტვირთვისთვის ამ ჯგუფის არსებობა. პრობლემა გაჩნდა, ბიზნესიც ვერ მუშაობს, რადგან საათობით დგანან ქუჩაში მანქანები.

— **რამეზე შეთანხმდით?**

– ჩვენ ვუთხარით, რომ მზად ვართ, ღრმად განვიხილოთ კომპლექსური საკითხები. ყოველდღე მატულობს საცობი და შეიძლება, სულ გაჩერდეს ქალაქი. სასწრაფოდ არის საჭირო რეაგირება. 7 კაცი იჯდა იქ და რას გააკეთებენ, არ ვიცით. პრობლემები არსებობს, საკითხი დავაყენეთ და წინ ვერ მივდივართ. ერთ თვეში უნდა მოეგვარებინათ საცობების პრობლემა, თქვენ, ნარმანია მეცნიერულად უდგება საკითხსო. როგორ უდგება, არ გვაინტერესებს, ახლა კონკრეტულად ვუთხარით, ან გვანახეთ ზუსტი გეგმა, ან გადავალთ ქალაქის მერზე. ეს ყოველდღიურ რეჟიმში განსახილველი თემაა.

— **კიდევ აპირებთ შეხვედრას?**

– როგორც ვიცი, ამ კვირაშივე იქნება შეხვედრა. გამოიკვეთა, რომ საჭიროა ე.წ. ჭკვიანი შუქნიშნების დაყენების საკითხი. რამდენიმე უბანში, მაგალითად, ვაჟა ფშაველაზე არის დაყენებული და იქ პრობლემა გვარდება. არაფერს ვიგონებთ, გვაქვს ქვეყნების გამოცდილებაც და ვიცით, პრობლემა როგორ უნდა მოგვარდეს. ჭკვიანი შუქნიშნებით გვარდება ეს პრობლემები ევროპაში, საჭიროა აქაც მეტის დაყენება. ამ კვირაში უნდა გვქონდეს ზუსტი პასუხები, რომ მერე ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## გია როინიშვილი: „მე ხომ ვიცი, როგორი ტკივილი გადაიტანე“



მსახიობი გია როინიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე მისი ქალიშვილის, მომღერალ მარიამ როინიშვილის ცეკვას ასე აფასებს:

– ყოჩაღ, მე ხომ ვიცი, როგორი ტკივილი გადაიტანე. გილოცავ“, – წერს მსახიობი.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილის „ვენურმა ვალსმა“ ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა. ჟიურის ერთ-ერთმა კრიტიკულმა წევრმა გოჩა ჩერტკოევმაც კი ვერ დამალა აღფრთოვანება და მარიამს უთხრა, რომ არ სჯერა, პროფესიონალი მოცეკვავე რომ არაა.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## რატომ შეაქეს ნანი ბრეგვაძემ და ნიკოლოზ რაჭველმა სტეფანე მღებრიშვილი?



სტეფანე მღებრიშვილი სოციალურ ქსელში აქვეყნებს ნიკოლოზ რაჭველის მესიჯს, რომელიც მუსიკოსმა მას შემდეგ მისწერა, რაც სტეფანემ ბრავოს ფინალზე ირაკლი ჩარკვიანის სიმღერა „ისტორიას“ შეასრულა.

– ძალიან მომეწონა! ძალიან იმოქმედა! ძალიან გამახარა! ძალიან დამამახსოვრდა და ძალიან დიდი სიამოვნება მომანიჭა! გილოცავ, სტეფო! სხვათა შორის, ნანი ბრეგვაძემაც არ დაიშურა ჩემთან შენი ნამღერის შესახებ საქებარი სიტყვები! ბრავო! – წერს ნიკოლოზ რაჭველი სტეფანეს.

*droni.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „გაფუჭებული გოგოა, იტყუება, მამაოც არ ჰყავს“ – „ფლეიბოის“ მოდელად ქცეულის დედა შვილს ამხელს



„ფლეიბოის“ მოდელად ქცეული მედავითნის, თამუნა ვაშალომიძის დედას შვილის ტელეეთერში გამოჩენაზე საშინელი რეაქცია ჰქონდა.

მარიამ ესიტაშვილი შვილს არჩეული ცხოვრების გამო აკრიტიკებს და მას შეურაცხადს უწოდებს.

მისი თქმით, ეკლესიასთან ურთიერთობა თამუნა ვარშალომიძემ პიარისთვის გამოიყენა და სინამდვილეში მას მამაოც კი არ ჰყავს.

– ვიცოდი, რომ შეურაცხადი იყო, მაგრამ ამდენს თუ გაბედავდა, არ ვიცოდი. როდესაც „იმედის კვირაში“ დავინახე, საშინელი რეაქცია მქონდა. მე თამუნასთან სამი წელია, ურთიერთობა არ მქონია. ურთიერთობის გაწყვეტა თავად გადაწყვიტა. თქვა, რომ თავისუფლება უნდოდა. როგორც თვითონ მოისურვებს, ისე უნდა, რომ იცხოვროს. რაც შეეხება, ეკლესიასთან მის დამოკიდებულებას – იტყუება. როდესაც პატარა იყო, მე ის მივიყვანე მამაოსთან, ვთხოვე, რომ მიეხედა, მონასტერშიც მყავდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მამაოც არ ჰყავს. ეს ყველაფერი პიარისთვის გააკეთა ან იმიტომ, რომ მომსპოს. ერთადერთი, ვინც მაგის ტყუილებს ვიგებდი, ვიყავი მე და გამიმეტა ამ ყველაფრისთვის. მას შემდეგ, რაც სიუჟეტი გავიდა, არ გვისაუბრია. ჩემს ტელეფონს არ აიღებს. დაბლოკილი ვყავარ „ფეისბუკზეც“ და „ოდნოკლასნიკებზეც“, – აცხადებს თამუნა ვაშალომიძის დედა.

რაც შეეხება „ფლეიბოის“ მოდელის ბიოლოგიურ მამას, მარიამ ესიტაშვილი მის ვინაობას არ ამხელს, თუმცა ამბობს, რომ თამუნა სწორედ მას ჰგავს.

– ბატონი კაკო მისი ბიოლოგიური მამა არ არის. კაკო ძალიან კარგი მამა იყო, მან მისცა გვარი. რაც შეეხება ბიოლოგიურ მამას, ის თამუნასავით არანორმალური იყო. არანორმალურია ის, რაც თამუნამ გაკეთა, ის, რაც ჩემსა და კაკოს თავს ხდება. ძალიან განვიცადეთ ეს ამბავი ჩვენც და თამუნას ბიოლოგიურმა ძმამაც, შაკომაც. თვითონ არავინ არ სჭირდება, არავისზე არ ფიქრობს, რადგან გაფუჭებული გოგოა. ეკლესია შეურაცხყო, შეიძლება ასეთი მოქცევა? – აცხადებს მარიამ ესიტაშილი.

კაკო ვაშალომიძის თქმით, ის ტელეკომპანია „იმედზე“ ძალიან ნაწყენია.

– კარგად მიცნობენ „იმედის“ კვირის წამყვანები და დაერეკათ მაინც და ეკითხათ. ოჯახი მყავს და ასე არ შეიძლება. მე ამ გოგოსთან არაფერი საერთო არ მაქვს და არც მქონია, – განაცხადა კაკო ვაშალომიძემ.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „დედა ციხეში მე ჩავსვი“ – „ფლეიბოის“ მოდელის სკანდალური აღიარება



– ოჯახი ჩემთვის ძალიან რთული თემაა. უბრალოდ, ხალხს მინდა ვუთხრა, რაც არ იციან, იმაზე ნუ ლაპარაკობენ, – ამბობს ყოფილი მედავითნე, რუსული „ფლეიბოის“ ქართველი მოდელი თამუნა ვაშალომიძე და დედასა და ბავშვობაზე სკანდალური ისტორიას ჰყვება.

– ძალიან მშვიდი და წყნარი ბავშვი ვიყავი, მორიდებული... ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ალბათ, ისეთი როგორც ყველას, ერთი განსხვავებით, ძალიან მაკლდა დედის სითბო და სიყვარული, ბებია მზრდიდა... ამიტომ ბებიაზე ვგიჟდები, ძალიან მიყვარს... მასთან თელავში ექვს წლამდე ვიზრდებოდი, დედა მერე გავიცანი. თვითონ ამბობს, ჩამოვდიოდიო, მაგრამ მე არ მახსოვს. ასეთ რეაქციას კი მისგან ველოდებოდი. ჩემს მეგობრებსაც ვეუბნებოდი, დადგება დღე, როცა პოპულარული გავხდები და ის ხმაურით გამოჩნდება-მეთქი. მეგონა, ეს მაშინ მოხდებოდა, როცა „ფლეიბოის“ ჟურნალს ჩამოვიტანდი საქართველოში და ტელევიზიებში პრეზენტაცია გაკეთდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაადრევად მოუვიდა... კარგად ვიცნობ მას და ამიტომ, შეშფოთებით არ შევშფოთებულვარ. შეგუებული ვარ მის უარყოფით დამოკიდებულებას ჩემს მიმართ. ამიტომაც არ მაქვს მასთან კონტაქტი დიდი ხანია. უბრალოდ, ძალიან საწყენია, როდესაც დედა იძახის შვილზე – ანტიქრისტეაო.

8 წელია მარტო ვცხოვრობ. ბევრჯერ ვცდილობდი, კონფლიქტური სიტუაცია ამერიდებინა თავიდან, მაგრამ ვერა და ვერა. რაც ციხიდან გამოვიდა, საერთოდ არ მქონია მასთან კონტაქტი და ახლა ისევ გამოჩნდა.

ციხეში მე ჩავსვი, მე ვუჩივლე ბებიას გამო, სცემდა ბებიას, მეც სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდა. შევიტანე სარჩელი, მოსამართლემ გაფრთხილება მისცა, არ უნდა შეგვხებოდა, მაგრამ მაინც იგივე გააკეთა. სხვა გზა არ მქონდა, ისევ ვუჩივლე და 12 დღით ჩასვეს.

ბებია ახლა საკუთარ სახლში არ ცხოვრობს, მომვლელთან არის, დედას დავუთმეთ ორივე სახლი, ვთქვი, იყოს, მშვიდად და წყნარად და არ შეგვაწუხოს მე და ბებია...

მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც გვაწუხებს... საპატრულოში, რომ ნახოთ, მინიმუმ 70 გამოძახება მაქვს, სცემდა ბებიას, დანით ემუქრებოდა საკუთარ დედას. ვერ გეტყვით, რატომ ერჩოდა ასე...

ამ თემაზე არსად არ მილაპარაკია ამ რვა წლის განმავლობაში, მაგრამ მისმა გუშინდელმა გამოსვლამ მაიძულა, სიმართლე ვთქვა.

მე დედაჩემის შეცდომებს არასოდეს გავიმეორებ, ვიქნები ბევრად თბილი და ყურადღებიანი. ეს მე ძალიან მაკლდა... ვიქნები დედა, რომელიც შვილს ყოველთვის ყველასგან დაიცავს. მნიშვნელობა არა აქვს, ჩემი შვილი ვინ იქნება... ძალიან მინდა სამი შვილი მყავდეს და იყვნენ ძლიერები, რომ დამოუკიდებლად აიწყონ ცხოვრება, რომ ვერავინ შეძლოს მათი დაჩაგვრა.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ანა მარგველაშვილი რეპერ „TL“-ის ძმას ხვდება?



ბოლო დროს ხშირად საუბრობენ პრეზიდენტის ქალიშვილის ანა მარგველაშვილისა და მომღერალი ლევან ჩიჩუას, იგივე „TL“-ის ძმის, გიგი ჩიჩუას რომანის შესახებ.



ანა მარგველაშვილი ხშირად ექცევა ყვითელი პრესის ყურადღების ცენტრში. ცოტა ხნის წინ ტაბლოიდები მასა და თავად რეპერ „TL“-ის რომანზეც წერდნენ, თუმცა წყვილმა ჭორები უარყო და განაცხადა, რომ მათი ურთიერთობა მეგობრობას არ ცდება.

*droni.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „ბრავოს“ გამარჯვებული ოთო ნემსაძე ბინას ქირით ეძებს



სანამ „ორბი“ ჯგუფი მომღერალ ოთო ნემსაძეს მოგებულ ბინას ბათუმში გადასცემდეს, ოთო სახლს ქირით თბილისში ეძებს.

ოთო ნემსაძე აქამდე ცოლთან ერთად ჯიქიაზე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა.

– ვეძებ ქირით სახლს :) 250-300$ მომეხმარეთ, რა, იყოს გარეუბანი, სუფთა და ოთახნახევრიანი, – წერს ოთო საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე.

*primetimenews.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

## საწოლში ბევრად უკეთესები ვიწრო წელის მქონე ქალები არიანო



– ქალები, რომელთაც პრაქტიკულად იდეალური წელი აქვთ, ყველაზე სექსუალურები და ყველაზე კარგი საყვარლები არიან. ინტიმის დროს კაცები მათგან უფრო მეტ სიამოვნებას იღებენ, – ასეთია დასავლეთ შოტლანდიის უნივერსიტეტის სპეციალისტების დასკვნა.

მათი აზრით, სწორედ ასეთი პარტნიორებისგან იღებენ მამაკაცები მაქსიმუმს, ხოლო დიდი ზომის წელის მქონე ქალებთან ურთიერთობა ძლიერ სქესს ერექტიული დისფუნქციის საფრთხეს უქადის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში 35-დან 65 წლამდე ასაკის 700 მამაკაცი იყო ჩართული. მოხალისეთა სექსუალური დაკმაყოფილების დონე სპეციალური ანკეტით ფასდებოდა და ხდებოდა სქესობრივი აქტების რაოდენობის გათვალისწინებაც.

შედეგად დადგინდა, რომ ბევრად მეტ სიამოვნებას იღებდნენ მამაკაცები, რომელთა პარტნიორებს ვიწრო წელი ჰქონდათ.

შოტლანდიელი მეცნიერები ამ ფენომენს ადამიანის ევოლუციაზე დაყრდნობით ხსნიან. კერძოდ, მათი თქმით, ძლიერი სქესი ისტორიულად დაპროგრამებულია, რომ პარტნიორის ჭარბი წონა სხვადასხვა დაავადების გაჩენის რისკებს ქმნის, ხოლო ტანადობა – ჯანმრთელობის მანიშნებელია.

*chat.xata.co.il*

## თვალების ჯანმრთელობა ინტელექტზე აისახება?



ამერიკელი მეცნიერების მტკიცებით, ადამიანები, რომლებსაც დაზიანებული აქვთ ბადურა, აზროვნებასთან და მეხსიერებასთან დაკავშირებით გაცილებით სერიოზულ პრობლემებს განიცდიან.

– თვალების უმცირესი სისხლძარღვების პრობლემები თავის ტვინის სისხლძარღვების პრობლემებზე მიუთითებს, რასაც, თავის მხრივ, მეხსიერებისა და აზროვნების გაუარესება მოჰყვება, – ამბობენ კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტები.

მათი აზრით, ამ უსიამოვნებისგან დადებითი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რადგან შეიძლება იმის დადგენა, რომ ადამიანს ჯანმრთელობასთან და ტვინის მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები უჩნდება.

*pronowosti.ru*

## შექმნილია საკვებად ვარგისი... პარფიუმერია



სავაჭრო მარკა „ლუსი მაკრეიმ“ უნიკალური პარფიუმის შექმნა დააანონსა, რომელიც... იჭმევა.

პარფიუმი ბიოლოგების დახმარებით შეიქმნა და ის განსაზღვრულია არა გარე, არამედ შიდა გამოყენებისთვის.

რას ნიშნავს „პარფიუმი შიდა გამოყენებისთვის“? ახლავე ყველაფერს აგიხსნით: მისი მოქმედების პრინციპი საკმაოდ ორიგინალურია. კერძოდ, დილას, სამსახურში გასვლამდე, ადამიანმა უნდა გადაყლაპოს ერთი კაფსულა, რომელიც უნიკალურ შენაერთებს შეიცავს. ნივთიერებათა ცვლის შედეგად, ხდება არომატული ნივთიერებების გამომუშავება, რომლებიც კანის ფორებიდან ნელ-ნელა იწყებენ გამოსვლას. ამის წყალობით, დეზოდორანტებისა და ტუალეტის წყლის რეგულარული გამოყენება საჭირო აღარ იქნება.

ამასთანავე, როგორც სიახლის ავტორები ამტკიცებენ, თითოეულ მომხმარებელს სხვადასხვანაირი სასიამოვნო სუნი ექნება, რადგან კაფსულაში შემავალი ნივთიერებები ადამიანის უნიკალურ სეკრეციებს ერევა. შედეგად, წარმოიქმნება არომატი, რომელსაც ანალოგი, უბრალოდ, არ გააჩნია.

პარფიუმის კიდევ ერთი უნიკალური თვისება სუნის ინტენსივობას უკავშირდება. კერძოდ, იმის გამო, რომ ის კანის ფორებიდან ოფლთან ერთად გამოდის, როცა ადამიანი ფიზიკურად პასიურ მდგომარეობაში იქნება, სუნი თითქმის შეუმჩნეველი გახდება. სამაგიეროდ, აქტიური მოძრაობებისას პარფიუმი ძალიან სასიამოვნო სურნელს დააყენებს.

ამ დროისთვის პარფიუმის ლაბორატორიული გამოკვლევები უკვე დასრულებულია, თუმცა როდის გამოჩნდება ბაზარზე, უცნობია.

*dama.info*

## ბრიტანელებმა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული საწოვარა დაამზადეს



ასეთ საწოვარას რომ უყიდი შვილს და ცოტა ხანში საწოლის ქვეშ მოგიწევს გულგახეთქილს ძრომიალი, ღირს ვითომ წვალებად?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს მოვიგონებდეთ, გეტყვით, რომ კრეატიულმა ბრიტანელმა იუველირებმა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული საწოვარა დაამზადეს, რისთვისაც პლატინა გამოიყენეს.

სხვათა შორის, ბრიტანელების საწოვარა წინა რეკორდსმენზე, ამერიკელების შედევრზე ბევრად ძვირად ფასობს, რომელიც თეთრი ოქროსგან და ბრილიანტებისგან იყო დამზადებული, 17 ათასი აშშ დოლარი ღირდა.

იქაური მედიის ინფორმაციით, საწოვარას წონა 250 გრამია და 85 ათასი აშშ დოლარი ღირს. ცნობილია ისიც, რომ რეკორდი უკვე დაფიქსირებულია გინესის წიგნის მიერ.

*dirtynews.su*

## დამტკიცებულია, რომ ჩაცმული ძილი მავნებელია



დღემდე პიჟამათი გძინავთ? დროა, გაიხადოთ! რატომ და იმიტომ, რომ როგორც მედიკოსები ამბობენ, „შიშველი ძილი“ ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა.

ამ, ცოტა არ იყოს, უჩვეულო მოსაზრების ავტორები განმარტავენ, რომ, პირველ რიგში, პრაქტიკულად, აღარ რჩება იმის ალბათობა, რომ სხეული გადახურდება, რასაც, ჩვეულებრივ, ორი ჰორმონის გამომუშავების დარღვევა მოსდევს ხოლმე: სიმაღლისა და მელატონინის.

გარდა ამისა, სხეულის ბუნებრივი ტემპერატურა ხელს უწყობს კანის აღდგენას.

და მესამე: ადამიანი, რომელსაც გახდილს სძინავს, სტრესის ჰორმონ კორტიზოლის დონე უმცირდება, რაც მას მშვიდი ძილით ასაჩუქრებს.

*24news.ru*

## ხედის დამრღვევი შენობის აფეთქებას შეეცადა და...



მოგეხსენებათ, საცხოვრებელი სახლი, რომლის ფანჯრებიდანაც თვალწარმტაცი ხედი იშლება, გაცილებით ძვირი ღირს და წარმოიდგინეთ, ესთეტიკური სიამოვნებისთვის უზარმაზარ თანხას რომ გადაიხდით და ერთ დღესაც თვალსაწიერს შეგიმცირებენ, არ გადაირევით?

ალბათ, კი გადაირევით, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ისე ნუ მოიქცევით, როგორც ანალოგიური მიზეზით აღშფოთებული 60 წლის იტალიელი მოიქცა, თორემ...

როგორც ირკვევა, იტალიის ქალაქ ტრიესტის მცხოვრები ანტონიო კასტრიოტა აღშფოთებულა და წყობილებიდან გამოსულა, როცა მისი საცხოვრებელი სახლის წინ მაღალსართულიანი შენობის აშენების პერსპექტივის შესახებ შეუტყვია:

– კი მაგრამ, ამით ხომ ხედი გამიფუჭდებაო, – უთქვამს ანტონიო კასტრიოტას და მაშინვე მზაკვრული გეგმაც დაბადებია, – როცა მშენებლობა დაიწყება, ავაფეთქებ...

სამწუხაროდ, იტალიელი თავისი ჩუმი ჩანაფიქრის განხორციელებას მართლაც შეეცადა – მეხანძრეებმა მისი ცხედარი რამდენიმე გაზის ბალონის გვერდით აღმოაჩინეს...

*gazeta.ua*

## პირსინგი კბილების გარეშე დაგტოვებთ?



პრინციპში, ორივე შემთხვევაში, თლიფინით ლაპარაკი გარანტირებულია, მაგრამ უკბილოდ სიარულს ნამდვილად არავის ვუსურვებთ, მით უმეტეს, თუ პენსიის ასაკამდე ბევრი უკლია და სტომატოლოგიურ მომსახურებას სახელმწიფო დაზღვევით ვერ მიიღებს.

ის, რომ პირსინგი არცთუ ისე უსაფრთხო „სამკაულია“, დიდი ხანია, დამტკიცებულია, თუმცა ტუჩებსა თუ ენაზე გარჭობილი საყურე კბილების ჩამოცვენას თუ იწვევდა, ნამდვილად ახალი ამბავია. ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტების თქმით, პირსინგი ორჯერ ზრდის პირის ღრუში ანთებითი და ატროფიული პროცესების გაჩენის რისკს. და რაც უფრო ხანგრძლივად ატარებს ადამიანი სამკაულს, შედეგი მით უფრო რთული იქნება.

საქმე ისაა, რომ პირსინგი მუდმივად აწვება ღრძილებსა და კბილების ყელს. შედეგად, ღრძილი დაბლა ჩადის და კბილი ირყევა. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ გაცილებით მაღალია წინა კბილების დაკარგვის საშიშროება.

სპეციალისტების რეკომენდაციაა, რომ დაწოლის წინ პირსინგი აუცილებლად უნდა მოიხსნათ.

*myjane.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



კითხვა სომხურ რადიოს:

– კაცობრიობის ისტორიაში, რომელმა ქალმა განიცადა ყველაზე მძიმე ტანჯვა?

პასუხი:

– კარლსონის დედამ, მშობიარობისას...

*****

პირველი ღამის შემდეგ...

ქმარი:

– ძვირფასო, მე მივხვდი, რომ შენთვის პირველი არ ვარ!

ცოლი (თან აბოლებს):

– ჰოო... მე კი მივხვდი, რომ არც უკანასკნელი!

*****

მამაკაცმა ექიმთან ცოლი მიიყვანა:

– ექიმო, აი, ეს არის ჩემი ცოლი... რა ჰქვია, დამავიწყდა... ტვინს მიჭამს, სათანადო ყურადღებას არ მითმობო...

*****



ბარში ორი მამაკაცი ზის. მოულოდნელად ერთი წამოხტა და მეორეს დაუყვირა:

– დედაშენთან სექსი მქონდა!

ბარში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ყველა მეორე მამაკაცის რეაქციას ელის. ის კი დუმს.

პირველი უფრო ხმამაღლა ყვირის:

– დედაშენთან სექსი მქონდა-მეთქი!

მეორე:

– სახლში წადი, მამა, ძალიან დათვერი!..

*****

პოლიციაში ატირებული ქალი მივარდა:

– მიშველეთ, ქმარი დავკარგე, ვერსად ვპოულობ. მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია!!!

– როდის დაიკარგა?

– ერთი კვირის წინ...

– მერე აქამდე რატომ არ განაცხადეთ?

– დღეს ხელფასი აქვს და...

*****

გენა ჩებურაშკას თმებს ჭრის:

– ჩებურაშკა, ყურები გჭირდება?

– რა თქმა უნდა?!

– კარგი... აჰა, დაიჭი...

*****

– ოფიციანტო, თქვენ მე ძალიან ამღვრეული ღვინო მომიტანეთ!

– არა, ღვინო შესანიშნავია, უბრალოდ, ჭიქაა ჭუჭყიანი და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი





1. მომღერალი ტოტო ...
2. მხატვარი დავით ...
3. „ფანტომასი“ ჟან ...
4. არგენტინული ცეკვა
5. „არაჩვეულებ. გამოფენა“ გლამა (მსახიობი)
6. კლდიაშვილი. „ბაკულას ...“
7. მწერალი ... ტოლსტოი
8. პლანტაცია გურიაში
9. მევიოლინე ლიანა ...
10. „... და ორმოცი ყაჩაღი“
11. აპარატი. ბგერით ადგენს სხეულის ადგილს
12. სამხედრო საავადმყოფო
13. ქალის სასიმღერო ხმა
14. სასიმინდე
15. მეკობრე
16. ქალაქი იაპონიაში
17. ჭადრაკის ფიგურა
18. ელვის პრესლის სიმღერის სტილი
19. მსახიობი ... დე ფიუნესი
20. სწრაფად ჩაწერილი ტექსტი
21. ადამის მეუღლე
22. მეფის სასახლე საფრანგეთში
23. სიტყვა-კოდი
24. მსახიობი ... ყანჩელი
25. სხეულ. სითხიანი პარკი
26. მტაცებელი ფრინველი
27. პოეტი გალაკტიონ ...
28. ოპერის მომღერალი ზურაბ ...
29. რუს. ხალხური სიმებ. საკრავი
30. დიდი გარმონი
31. მსახიობი ომარ ...
32. მტაცებელი თევზი
33. ბარბაცით სიარული
34. მწერალი ... კიპლინგი
35. მას უყვარდა ესმერალდა
36. მინდვრის ყვავილი
37. რაიმეს კეთების შესაძლებლობა
38. რეჟისორი ... სპილბერგი
39. მეკვლე ძაღლი ფილმიდან
40. საქონლის საკვები
41. გამათბობლის ჩეხური ფირმა
42. შეძახილი ლოცვისას
43. თევზსაჭერი გემი
44. ნახშირმჟავას მარილი ზოგადად
45. დამარცხებული ქვეყნის გადასახადი
46. გამოცდილი მფრინავი
47. მომავლის რწმენა
48. საბჭოთა დროის დიდი მაღაზია
49. თმის საშრობი
50. ინვენტარი საკლასო ოთახში
51. ქრიჭინას სტეპი (ფილმიდან)
52. ჟამი
53. წუთის მესამოცედი
54. გამაგრილებელი სასმელი
55. საომარი ნადავლი
56. მლიქვნელი, ანუ ...
57. ოდრი ტოტუ ფილმში
58. ბეთჰოვენი. „მთვარის ...“
59. „ჯადოქარი“ მარინა ...
60. დიდი ქვა
61. შვედური ავტომობილი
62. მეცნიერი, რომელმაც აღმოაჩინა ცხოველური ელექტრობა
63. ქიმიური ელემენტი
64. აქეთ-იქით, არეულად
65. კაფე საფრანგეთში
66. ... ბერიო, ისეთიც ერიო
67. დისკოს ფორმის სპორტ. ინვენტ.
68. მიკროავტობუსი
69. ბროწეულის წვენის საწებელი
70. ებრაელების მოძულე
71. ბოკაჩოს ნაწარმოები
72. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
73. ყურძნის არაყი
74. პიესების ავტორი
75. ურჩხული ჩინურ ზღაპრებში
76. ხის ბაყაყი
77. იესო ქრისტე, ანუ ...
78. სასუნთქი სისტემის ნაწილი
79. მომღერალი ანჟელიკა ...
80. ზღვა შუა აზიაში
81. მხატვარი ამედეო ...
82. მომღერალი ... ონაშვილი
83. ფსიქოლოგი ზიგმუნდ ...
84. „... ვხედავ მზეს“
85. სმენის ორგანო
86. ...-კლარჯეთი
87. ტაილანდის ძველი სახელწ.
88. მსახ. ... ჯესიკა პარკერი
89. თინიოჟერი საბას ენაზე
90. ქალაქზე პატარა დასახლება
91. ტროპიკული ქარი
92. ბოსტნეული
93. ტანი თავითა და ხელ-ფეხით
94. ჭერის პარალელური სიბრტყე
95. ქალაქი ავსტრალიაში
96. მოუხარშავი
97. თეთრი თიხის კერამიკა
98. მსახიობი რობერტ დე ...
99. უბანი ძველ თბილისში
100. პარიზის კოშკის ავტორი
101. ინერტული აირი
102. ბეთჰოვენის ერთადერთი ოპერა
103. გრძელი, ვიწრო გოდორი
104. ტბა თბილისში
105. პოეტების მითიური მთა
106. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „კუკარაჩა“-ში მოხსენიებული ... უბანი
107. ინგლისური ლუდი
108. ჰოლანდ. ფულის ერთეული
109. იალქანი
110. კრემიანი ნამცხვარი
111. ... მოგვივა დავითთან
112. რეჟისორი ... სკორსეზე
113. ერთ ფეხზე დგომა ბალეტში
114. ახალი ზელანდიის ფრინველი
115. ჯიხვების ჯოგი
116. სვანური ხალხური სიმღერა
117. მწყემსის მოსასხამი
118. ლითონის ფული
119. რეჟისორი ... პარკერი
120. მხ/ფ „... მეზურნეები“
121. მსახიობი ... ელექტრა
122. ... ქრობა მელომა შეჭამა
123. ფანდი ჭიდაობაში
124. ... ურჩევნია მამულსა
125. სიო
126. კვამლი, ანუ ...
127. მომღერალი ლედი ...
128. მომღერალი ... პიაფი
129. მასობრივი გარბენა
130. სახელმწიფო აზიაში
131. ნაცია
132. ნადირის მცველი
133. მეცნიერი ... ვეკუა
134. მწვანილის შეკვრა
135. მეეტლის ადგილი ეტლზე
136. ... ფიცჯერალდი
137. დაბალფასიანი
138. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპედია
139. შვედეთის დედაქალაქი
140. სიგარეტის ნამწვის ჩასაყრელი ჯამი
141. სავანე, ანუ ...
142. მსახიობი ... პარიო
143. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
144. მთიდან არეკლილი ხმა
145. მშობელი
146. იჩქარე ...
147. ქალაქი იტალიაში
148. სასაზღვრო დაცვის რაზმი
149. ხილი
150. ჯუჯა კამეჩი

პასუხები: 1. კუტუნიო; 2. კაკაბაძე; 3. მარე; 4. ტანგო; 5. ტელიჩკინა; 6. ღორები; 7. ლევ; 8. ჩაი; 9. ისაკაძე; 10. ალიბაბა; 11. ლოკატორი; 12. ჰოსპიტალი; 13. ალტი; 14. ნალია; 15. პირატი; 16. ოსაკა; 17. კუ; 18. როკენროლი; 19. ლუი; 20. სტენოგრამა; 21. ეკა; 22. ვერსალი; 23. პაროლი; 24. სალომე; 25. კისტა; 26. ძერა; 27. ტაბიძე; 28. სოტკილავა; 29. დომრა; 30. ბაიანი; 31. კობერიძე; 32. ბარაკუდა; 33. ტაატი; 34. რედიარდ; 35. კვაზიმოდო; 36. ბაბუაწვერა; 37. უნარი; 38. სტივენ; 39. ბროლია; 40. სილოსი; 41. „კარმა“; 42. ამინ; 43. სეინერი; 44. კარბონატი; 45. ღალა; 46. ასი; 47. იმედი; 48. უნივერმაღი; 49. ფენი; 50. დაფა; 51. ელპიტე; 52. დრო; 53. წამი; 54. „ფანტა“; 55. ალაფი; 56. ქლესა; 57. „ამელი“; 58. სონატა; 59. ვლად; 60. ლოდი; 61. „ვოლვო“; 62. გალვანი; 63. ქლორი; 64. აცაბაცა; 65. ბისტრო; 66. როგორიც; 67. ბადრი; 68. რაფი; 69. მაშარაბი; 70. ანტისემიტი; 71. „დეკამერონი“; 72. სერ; 73. ჭაჭა; 74. დრამატურგი; 75. დრაკონი; 76. ვასაკა; 77. მაცხოვარი; 78. ხორხი; 79. ვარუმი; 80. არალი; 81. მოდილიანი; 82. მამუკა; 83. ფროიდი; 84. მე; 85. ყური; 86. ტაო. 87. სიამი; 88. სარა; 89. ნინველი; 90. სოფელი; 91. მუსონი; 92. ნიორი; 93. სხეული; 94. იატაკი; 95. სიდნეი; 96. უმი; 97. ფაიფური; 98. ნირო; 99. სოლოლაკი; 100. ეიფელი; 101. ნეონი; 102. „ფიდელიო“; 103. გიდელი; 104. ლისი; 105. პარნასი; 106. ტერენტი; 107. ელი; 108. გულდენი; 109. აფრა; 110. ეკლერი; 111. რაც; 112. მარტინ; 113. არაბესკი; 114. მაორი; 115. არვე; 116. „ლილეო“; 117. ნაბადი; 118. მონეტა; 119. ალან; 120. ბებერი; 121. კარმენ; 122. ზიარი; 123. სარმა; 124. ის; 125. ნიავი; 126. ბოლი; 127. გაგა; 128. ედიტა; 129. კროსი; 130. სირია; 131. ერი; 132. ეგერი; 133. ილია; 134. კონა; 135. კოფო; 136. ელა; 137. იაფი; 138. კარაბადინი; 139. სტოკჰოლმი; 140. საფერფლე; 141. დილეგი; 142. ან; 143. მო; 144. ექო; 145. დედა; 146. ნელა; 147. მილანი; 148. კორდონი; 149. ატამი; 150. ანოა. იკითხება: პაბლო პიკასო. „მშვიდობის მტრედი“.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ძველებური იალქნიანი გემი
2. ესპანელისა და ინდიელის შვილი
3. მ/ფ „... ორკესტრი“
4. სპორტ. შეჯიბრის დასაწყისი
5. ვენეციური ნავი
6. მდინარე სამხ. ამერიკაში
7. მსახიობი ... ფენინგი
8. შექსპირი. „მეფე ...“
9. სიყვარულის ქალღმერთი
10. მწვანილების შეკვრა
11. მსახიობი ... ჯინორია
12. ქართ. ფილმი ზღაპარი
13. ქალაქი. გაასამართლეს ნაცისტები
14. ქალაქი კანადაში
15. მწერალი ლევ ...
16. ეკვადორის დედაქალაქი
17. ... მოგივა დავითაო
18. წარწერა საფლავის ქვაზე
19. მთრიმლავი ნივთიერება
20. გიული ჭოხონელიძე ფილმში
21. აორტის ანთება
22. კუნძული კარიბის ზღვაში
23. ქალაქი ყირიმზე
24. ჩანთოსანი დათვი
25. ძველი მოდის გახსენება
26. თევზსაჭერი გემი
27. ძველებ. ქართული ცხენოსნობა
28. ჯომოლუნგმა, ანუ ...
29. ხატმწერი ანდრეი ...
30. ადამიანის წინაპარი
31. მსახიობი ბარბარა ...
32. ორი ადამიანის საუბარი
33. მწერი
34. ჯუჯა ცხენი
35. მან გახსნა აკრძალული ყუთი(მით)
36. რუსული ავტომობილი
37. ბოშათა საბჭოთა თეატრი
38. ქალაქი ესპანეთში
39. ობობის ქსელი
40. ისტორიიდან: ... ჟორდანია
41. მოცეკვავე ალა ...
42. პატარა არია
43. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
44. მსახიობი ... პიტი
45. მონეტების შემგროვებელი
46. მწერალი ალფონს ...
47. მზის ღმერთი ეგვიპტეში
48. მგზავრის ადგილი ვაგონში
49. მოდელი ... კროუფორდი
50. ნიავი
51. ზოდიაქოს ნიშანი
52. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
53. შვარცენეგერის რკინის ...
54. „შუა ქალაქში“ ... შალვოვნა
55. სასულე ინსტრუმენტი
56. ინდიელთა ტომი
57. მწერალი ... ბრაუნი
58. ადამის მეუღლე
59. ზამთრის თვე
60. ზამთრის სამოსი
61. ფოროვანი ვულკანური ქანი
62. ბია
63. დროის საზომი მექანიზმი
64. ვრცელი ველები სამხრეთ ამერიკაში
65. შოკოლადის ხის ნაყოფი
66. მსახიობი ვერონიკა ...
67. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
68. უესლი სნაიპსი ფილმში
69. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
70. ფინეთი, ანუ ...
71. სამშენებლო მასალა
72. გამზირი, ანუ ...
73. მსახიობი ... შენგელაია
74. კუნძული ავსტრალიასთან
75. თანავარსკვლავედი
76. ცისარტყელას ქალღმერთი
77. ბრინჯაო
78. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
79. ფეხბურთის „მეფე“
80. უეცარი შიში
81. მწერალი ანდრე ...
82. უნგრელი კომპოზიტორი
82ა. „პარმის სავანე“ ავტორი
83. ფილტვების ინფექციური დაავადება
84. დამუხტული ნაწილაკი
85. მ/ფ „ზოლიანი ...“
86. თბილისის უბანი
87. მხატვარი სანდრო ...
88. ქალაქი შიდა ქართლში
89. სიგრძის რუსული ერთეული
90. სტადიონი რიოში
91. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
92. დიდი ჩაქუჩი
93. ინდური კაბა
94. პატარა არხი
95. ტიბეტური ხარი
96. პურის ხმელი ზედაპირი
97. „... და მშვიდობა“
98. გემის დიდი ბადე
99. ქიმიური აღმომჩენი
100. მდინარე ქუთაისში
101. მწვანილი
102. ბრონტე. „ჯეინ ...“
103. შიიზმის მიმდევარი
104. სახელმწიფო აზიაში
105. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
106. სცენის განათება
107. შანსონიე ... მონტანი
108. მსახიობი ... რიშარი
109. კომპოზიტორი ბედრჟიხ ...
110. იალქანი
111. სოფოკლეს ტრაგედია
112. ტელეკომპი
113. მშვიდი განწყობა
114. რუსი საბჭოთა კარიკატურისტების ფსევდონიმი
115. რძის პროდუქტი
116. ქიმიური ელემენტი
117. რეჟისორი ალფონსო ...
118. შვედური ავტომობილი
119. მსახიობი ... მანიანი
120. ...-კლარჯეთი
121. სოფელი რაჭაში
122. სახელმწიფო აფრიკაში
123. მთათა სისტემა ...-შანი
124. „ანჟელიკა ანგელოზების ...“
125. რეჟისორი ... იოსელიანი
126. აზრი
127. მომღერალი შარლ ...
128. სირაქლემას სახეობა
129. აივენჰოს სატრფო
130. იმრე კალმანის ოპერეტა
131. თურქეთის დედაქალაქი
132. ენათმეცნიერი ვახუშტი ...
133. მუხის ნაყოფი
134. შენობის მუყაოს მოდელი
135. ფოლგა
136. ... და ტირილი მეგობრები არიანო
137. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
138. ჟან კლოდ ... დამი
139. ცხენებშებმული ტრამვაი
140. კომპოზიტორი ... კორსაკოვი
141. მ/ფ „... ხვიტია“
142. მსახიობი ... გარდნერი
143. ... ია

პასუხები:1. კარაველა; 2. კრეოლი; 3. ადამიანი; 4. სტარტი; 5. გონდოლა; 6. ორინოკო; 7. დაკოტა; 8. ლირი; 9. აფროდიტე; 10. კონა; 11. მურმან; 12. „ცისკარა“; 13. ნიურნბერგი; 14. ტორონტო; 15. ტოლსტოი; 16. კიტო; 17. რაც; 18. ეპიტაფია; 19. ტანინი; 20. „ფატიმა“; 21. აორტიტი; 22. მარტინიკა; 23. იალტა; 24. კოალა; 25. რეტრო; 26. სეინერი; 27. ისინდი; 28. ევერესტი; 29. რუბლიოვი; 30. ნეანდერტალელი; 31. ბრილსკა; 32. დიალოგი; 33. კალია; 34. პონი; 35. პანდორა; 36. „ნივა“; 37. „რომენი“; 38. ბარსელონა; 39. აბლაბუდა; 40. ნოე; 41. დვალი; 42. არიოზო; 43. სარდინია; 44. ბრედ; 45. ნუმიზმატი; 46. დოდე; 47. რა; 48. კუპე; 49. სინდი; 50. სიო; 51. ვერძი; 52. ტანგენსი; 53. არნი; 54. ცისანა; 55. ჰობოი; 56. სიუ; 57. დენ; 58. ევა; 59. თებერვალი; 60. პალტო; 61. პემზა; 62. კომში; 63. საათი; 64. პამპასი; 65. კაკაო; 66. კასტრო; 67. სპიდომეტრი; 68. „ბლეიდი“; 69. კოპოლა; 70. სუომი; 71. არმატურა; 72. პროსპექტი; 73. არიადნა; 74. ტასმანია; 75. ორიონი; 76. ირიდა; 77. რვალი; 78. ამერიგო; 79. პელე; 80. ელდა; 81. მორუა; 82. ლისტი; 82. სტენდალი; 83. ტუბერკულოზი; 84. იონი; 85. რეისი; 86. ელია; 87. ბოტიჩელი; 88. კასპი; 89. ვერსი; 90. მარაკანა; 91. მედინა; 92. ურო; 93. სარი; 94. რუ; 95. იაკი; 96. ქერქი; 97. ომი; 98. ტრალი; 99. ინდიკატორი; 100. რიონი; 101. ქინძი; 102. ეარი; 103. შიიტი; 104. პაკისტანი; 105. სიასამური; 106. რამპა; 107. ივ; 108. პიერ; 109. სმეტანა; 110. აფრა; 111. „ანტიგონე“; 112. ანძა; 113. იდილია; 114. კუკრინიკსები; 115. დო; 116. აზოტი; 117. არაუ; 118. „ვოლვო“; 119. ანა; 120. ტაო; 121. ირი; 122. ლესოტო; 123. ტიან; 124. მარკიზა; 125. ოთარ; 126. იდეა; 127. აზნავური; 128. ემუ; 129. როენა; 130. „სილვა“; 131. ანკარა; 132. კოტეტიშვილი; 133. რკო; 134. მაკეტი; 135. კილიტა; 136. სიცილი; 137. პიანო; 138. ვან; 139. კონკა; 140. რიმსკი; 141. მაცი; 142. ავა; 143. აი. იკითხება: ვალსი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

თენგიზ მარს ვუსამძიმრებთ მეუღლის

**რუსიკოს**

გარდაცვალების გამო.

*კოტე მარის ოჯახი.*

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## მეცნიერებმა თავის ტვინის უჯრედების „გადაპროგრამირება“ შეძლეს



მართალია, ჯერჯერობით სასურველი შედეგის მიღება მკვლევარებმა ლაბორატორიულ თაგვებთან მუშაობისას შეძლეს, მაგრამ ესეც უკვე ძალიან წინ გადადგმული ნაბიჯია და ახლავე გეტყვით, რატომაც.

როგორც ირკვევა, მეცნიერებმა ახალგაზრდა თაგვების ტვინის უჯრედების „გადაპროგრამირება“ შეძლეს. ნეიროფიზიოლოგიის ეს მიღწევა თავის ტვინის ნეირონებისთვის სასიკვდილოდ სახიფათო ისეთი დარღვევების მკურნალობის მეთოდების მიგნების შანსს იძლევა, როგორიცაა, მაგალითად, ამიოტროფული გვერდითი სკლეროზი (პროგრესული, ხშირად ფატალური, ნეიროდეგენერაციული დაავადება).

აღნიშნული დაავადება კუნთების მაკონტროლებელ ნეირონებს კლავს და ნელ-ნელა სხეულის მამოძრავებელ ფუნქციებს თიშავს.

თაგვებზე ჩატარებული კვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა კორტიკო-სპინური ბოჭკოების მსგავსი ნეირონების მიღება – ნეირონების ორი ტიპიდან ერთ-ერთის მიღება, რომელსაც ამიოტროფული გვერდითი სკლეროზი ვერ უმკლავდება.

ამ ეტაპზე ტექნოლოგია მხოლოდ შემუშავების სტადიაშია და ჯერ კიდევ არაერთი კვლევის ჩატარებაა საჭირო, სანამ მისი პრაქტიკული გამოყენება დაიწყება.

***exploatom.ru***

## ლონდონში შეუხედავი მოდელების სააგენტო მუშაობს

გასაკვირია პირდაპირ, როგორ შეუძლია ზოგიერთს ყველაფრიდან მოგება ნახოს და ფული გააკეთოს? თანაც, სწორედ ასეთებს უმართლებთ ხოლმე ყველაზე ხშირად და აგერ, გადასარევი მაგალითი: ლონდონში სამოდელო სააგენტო „უშნოები“ მუშაობს, რომელიც კომპანიებს რეკლამებში გადასაღებად შეუხედავ ადამიანებს სთავაზობს.



Mariam - Bearded Lady

როცა ასეთი ადამიანების საჭიროება დგება, სარეკლამო სააგენტოს წარმომადგენლები სამოდელო სააგენტოს უკავშირდებიან, რომელიც ძალიან უცნაური გარეგნობის მქონე მსახიობებისა და მოდელების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის.

ისევე, როგორც სხვა სააგენტოებს, „უშნოებსაც“ ასორტიმენტში „გოგონები“ და „ბიჭები“ ჰყავს, თუმცა ამ შემთხვევაში ემატება კიდევ არაერთი კატეგორია: „ჯუჯები“, „არამზადები“, „ბაიკერები“, „ტყუპები“, „ბოდიბილდერები“ და „საიდუმლო მასალები“. ამ უკანასკნელ კატეგორიაში, ჩვეულებრივ, შედიან ადამიანები, რომლებსაც სხეულზე დიდი რაოდენობით ტატუ ან პირსინგი აქვთ გაკეთებული.



Lilly Mae

– ძალიან მოგვწონს ჩვენი მსუქანა და შეუხედავი, ექსტრემალურად მაღალი და საოცრად ციცქნა მოდელები. ჩვენს პორტფოლიოში ადგილი ყველასთვის მოიძებნება, – ამბობენ სააგენტოში, რომელიც ჯერ კიდევ 1969 წლიდან მუშაობს და თანაც, ძალიან დიდი წარმატებით.

***mainfun.ru***

## ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***
11 **დეკემბერი:** თუკი თქვენს გარშემო წარმოთქმულ აზრებს არადამაჯერებლად ჩათვლით, გსურთ თუ არა, საკუთარის დაფიქსირება მოგიწევთ.

***კურო 22.04-21.05***
11 **დეკემბერი:** თქვენი ცხოვრების ჩვეული რიტმი შესაძლოა, რაღაც უმნიშვნელომ დაარღვიოს. შეეცადეთ, მშვიდად იყოთ, ეს არანაირ გართულებას არ გამოიწვევს.

***ტყუპები 22.05-21.06***
11 **დეკემბერი:** დღეს მოგექცევიან ისე, როგორც უმრავლეს შემთხვევებში თავად ექცევით სხვებს. ასე რომ, თუ რამე არ მოგწონთ, შეგიძლიათ, გამოასწოროთ.

***კირჩხიბი 22.06-22.07***
11 **დეკემბერი:** სანამ სახლიდან გახვალთ, დარწმუნდით, რომ მოწესრიგებული ხართ. დღეს დაბნეულობა დაგჩემდებათ და შეიძლება შეუფერებლად ჩაცმული გახვიდეთ გარეთ.

***ლომი 23.07-22.08***
11 **დეკემბერი:** შეიძლება დღეს თავის მართლება მოგიწიოთ, რომ თქვენ მიმართ წაყენებული პრეტენზიები უსაფუძვლოა. ამისთვის წინასწარ შეემზადეთ.

***ქალწული 23.08-22.09***
11 **დეკემბერი:** შეიძლება რაღაც საფრთხე დაგემუქროთ. თუ გრძნობთ, რომ ამისთვის მზად არ ხართ და ვერ გაუმკლავდებით, უმჯობესია, სახლიდან არ გახვიდეთ.

***სასწორი 23.09-22.10***
11 **დეკემბერი:** შეიძლება დღეს რაღაცაზე უარის თქმა მოგიწიოთ. როდესაც შანსს შეგნებულად გაუშვებთ ხელიდან, თავი დაიმშვიდეთ, შესაძლებლობები კიდევ მოგეცემათ.

***მორიელი 23.10-21.11***
11 **დეკემბერი:** შეეცადეთ, საკუთარ თავს სწორად შერჩეული კურსიდან გადახვევის საშუალება არ მისცეთ, რადგან უკან დაბრუნება იმაზე რთული იქნება, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***
11 **დეკემბერი:** შეგიძლიათ, თავს მოდუნების საშუალება მისცეთ და არ გააკეთოთ ის, რის გაკეთებაც არ გინდათ. ამას უარყოფითი შედეგები არ მოჰყვება.

***თხის რქა 22.12-19.01***
11 **დეკემბერი:** თუ თქვენს ქცევებზე განმარტებას მოგთხოვენ, ყურადღება არ მიაქციოთ. თქვენი გეგმებისა და მოტივაციების გამხელა სავალდებულო არ არის.

***მერწყული 20.01-18.02***
11 **დეკემბერი:** ვიღაც უნებლიეთ ცხოვრებას გირთულებთ. თქმას აზრი არ აქვს, ვერ გაგიგებთ. უმჯობესია, დისტანცირება მოახდინოთ.

***თევზები 19.02-20.03***
11 **დეკემბერი:** შესაძლოა, დღეს ვიღაცის გავლენებისადმი დამყოლი გახდეთ. შეეცადეთ, ისეთი ადამიანების გარემოცვაში იყოთ, რომელთა გავლენაც სახიფათო არ არის.

## გამოთვლილია: ნერვიულობაზე ქალები სიცოცხლის 5 წელიწადს ხარჯავენ



რა ვქნათ, ძალიან კი არ გვინდა ამის თქმა, მაგრამ გამოდის, რომ გამოთქმა: „მიწაში დავისვენებო“, ქალების იმ ნაწილზეა ზედგამოჭრილი, რომელიც გაუთავებლად რაღაცაზე ნერვიულობს, ღელავს და ქოთქოთებს.

სპეციალისტებმა გამოითვალეს, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ნერვიულობას დღის მანძილზე მინიმუმ 2 საათს უთმობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, საერთო ჯამში, მხოლოდ ნერვიულობას ისინი, საშუალოდ, 5 წელიწადს ახარჯავენ.

მაინც, რა აღელვებს და ანერვიულებს ქალების აბსოლუტურ უმრავლესობას? როგორც კვლევამ აჩვენა, მათი გადარევის მიზეზი შეიძლება გახდეს პრობლემები სამსახურში, ფიქრები სიბერესა და ფინანსების არქონაზე, ასევე, ბავშვების მომავალი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

რომ დავფიქრდით, ეს ყველაფერი პრინციპში, მამაკაცების ნერვიულობის მიზეზიც შეიძლება იყოს, თუმცა რატომღაც, ამ მიმართულებით მკვლევარები ძლიერ სქესთან დაკავშირებით კრინტსაც არ ძრავენ.

***myjane.ru***

## სუნამო სუფთა ჩვილის სურნელით



საოცარი, წარმოუდგენლად სასიამოვნო და ნეტარების მომგვრელი სურნელი აქვთ ჩვილებს, განსაკუთრებით კი ახლად გაღვიძებულებს.

აკი გითხარით, ზოგ ადამიანს ყველაფრიდან შეუძლია მოგების ნახვა-მეთქი და ა, ბატონო, კიდევ ერთხელ დარწმუნდით:

იტალიური კომპანია „დოლჩე გაბანა“ მომხმარებელს მართლაც უჩვეულო სუნამოს სთავაზობს, რომელიც სუფთა ჩვილის სურნელს აფრქვევს.

ცნობილია, რომ სუნამო შავ-თეთრი ფერის ფლაკონშია ჩამოსხმული, უკვე სარგებლობს საკმაოდ დიდი პოპულარობით, თუმცა ფასის შესახებ, რატომღაც, ინფორმაცია არსად ზუსტდება.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ „პიცა ჰატის“ კანადურმა ქსელმა სუნამოების შეზღუდული სერია გამოუშვა... პიცის სურნელით.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***ru.tsn.ua***



– რა უნდა გააკეთოს ნამდვილმა ჯენტლმენმა რომანტიკული ვახშმის შემდეგ?

– დაეხმაროს ქალბატონს ვახშმისას მიღებული კალორიების დაწვაში!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**
ალია
»211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
**გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ **„ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.40